1) 1439/14-216

„ტაძრები პირველნი ხვდებიან ამომავალი მზის სხივებს“ – თომას მანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერისუბანი

7 თებერვალი - 7 მარტი, 1999 წ. №2 გამოცემის პირველი წელი ფასი 70 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობა თქვენდა, ჩვენო მადლიანო მკითხველნო...

*„ვერისუბნით“ გაეცნენ ეთ იმ ბრწყინვალე საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელნიც უშუალოდ შეკავშირდებიან ვერისუბანს, რომელთაც ახალი ფერები შემატეს ქართულ და მსოფლიო ცივილიზაციის პალიტრას. – **გაზეთ „ვერისუბნის“ რედაქცია***

ვერიკო და თეატრი

„...ქართული სცენის საძაყეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, თავისი უდიდესი საშსახითობა შესაძლებლობებთ, დაამტკიცა, რომ ქართველი შსახიობები საქვეყნოდ ითვლებიან საუკეთესო გამოშხატველებად მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებებისა.“

გვ. 3

წმიდა ანდრია მოციქული ღვრაჯი მონასტერი

გვ. 6–7

დიალოგი დიპლომატთან არადიპლომატიურ თემაზე

„...მშვიდობას და ბედნიერებას ვუსურვებ საქართველოს.
მჯერა, გაზეთი „ვერისუბანი“ ისეთივე მშვენება იქნება ქართული პრესისათვის, როგორიც თავად ვერისუბანია თბილისისათვის.“ — ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ჩენ ინცზიუანი

გვ. 3

მას ბევრი ქვა ესროლეს... ეს ქვები კვარცხლბეკად გადაექცა.



შალვა ნუცუბიძე – ფილოსოფოსი, ორიგინალური ფილოსოფიური ნაზრევის — ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციის შემქმნელი, ქართული კულტურის მრავალმხრივი მკვლევარი, აღმოსავლური რენესანსის იდეის ავტორი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, იმდროინდელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მხურვალე ტრიბუნი, მგზნებარე მჭევრმეტყველი, კომუნისტური ხელისუფლების მიერ მრავალგზის შერისხული, მაგრამ მუდამ ქედუხრელი და შემართული...

ქეთევან ნუცუბიძე

გვ. 8

შტრიხები მსატვრის ცხოვრებიდან

ავთო ვარაზი



„თუ გსურს პატიოსნად იცხოვრო, უნდა ისწრაფო, იწვალო, შეცდე, დაიწყო და მიატოვო, მუდმივად იბრძოლო და გარდაისახო, ხოლო სიმშვიდე სულიერი საძაგლობაა.“

გვ. 4

არჩილ ჩიგაკაძე

ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი

გვ. 9

გურამ ტყემალაძე



ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალი ლექსები

„...ასე იყო მაშინაც, დილა იქცა დაისად,
განშორება დაიწყო გასაოცრად საშინლად...“

გვ. 9

მორის ფოცხიშვილი

ისევ ლტოლვა და ისევ თარეში,
გვიჭირს, ნამდვილად გვიჭირს, —
ერთფეროვნების ცისფერ ბრჭყალებში
კვლავაც სულს ღაფავს ნიჭი.

გვ. 5

დახვეწილი გემოვნების არსი, ანუ ცოტა რამ ელეგანტურობის შესახებ

გვ. 10

ღვაწლმოსილი ხუროთმოძღვარი ალექსი მიმინოშვილი

გვ. 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „ვერისუბნის“ პირველი ნომრის გვერდი

„ვისაც სურს იხილოს ღვთაებრივი და მშვენიერი, ჯერ თვითონ უნდა გახდეს ღვთაებრივი და მშვენიერი“ - პლატონი

ვერისუბანი

7 იანვარი - 7 თებერვალი, 1999 წ. №1 გამოცემის პირველი წელი

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი

სამხატვრო ხელმძღვანელი კოტე მახარაძე

გვ. 2

ქალთა ფენომენი დედოფალი ნინო ანანიაშვილი

გვ. 6

„კოლხური კოშკი“



მარტვილი და ალაქიდარი

გვ. 3

დათო მაღრაძე ფერეფსკაიას ქუჩის ფოტოფეხი

გვ. 7

ეკლიან გზაზე

ეროვნული გმირი

მერაბ კოსტავა



გვ. 4

ქართული ფსტრალური ვარსკვლავი

ნიკა ღოლენჯაშვილი

გვ. 8

თამაზ ყურაშვილი

მსოფლიო ჯაზის თანავარსკვლავედში

გვ. 8

დიდი მამული-შვილი, დიდი მეცნიერი



ნიკო ჭავჭავაძე

გვ. 4



თანამედროვე ქართული ქანდაკების მამა

იაკობ ნიკოლაძე

გვ. 5

ქალბატონ ნინოს შეკვეთა

ლეილა აბაშიძე

გვ. 9

ძველი უბნის ახალი ხიბლი

თემო მაჭავარიანი

გვ. 9

გაზეთ „ვერისუბნის“ რედაქცია მოკრძალებულ მადლიერებას გამოხატავს თანადგომისათვის - საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციისა და გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მიმართ.

ვერიკო და თეატრი

ვერიკო ანჯაფარიძე — ქართული კინოსა და თეატრის შვენება და სიამაყეა. მან ქართული კულტურის ისტორიაში, ახალის საწყისის შემოტანით, მარადსახსოვარი სახელი დაიმკვიდრა.

ვერიკო ანჯაფარიძე დედით მესხების სახელგანქმულ ბუდე-ოჯახს ეკუთვნის. სიმონ მესხის 13 შვილს შორის სერგი — მეორე დასის ერთი მეთაურთაგანი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი იყო, კოტე — დიდი ილიასა და აკაკის მიერ განახლებული ქართული სცენის ერთი ბურჯთაგანი, ეფემია — სახელმოხვეჭილი დრამატიული მსახიობი, დავითი — მწერალი და თეატრში იმერელ მსახურთა როლების საუკეთესო შემსრულებელი, ივანე — საზოგადო მოღვაწე და თარზე საუკეთესო დამკვრელი, ნესტორი — მოძღერალი და მოცეკვაე... ამათი ბიძაშვილი იყო კოტე მარჯანიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძეც ამ ოჯახის ახლო ნათესავი იყო. სიმონ მესხის 13 შვილთაგან ყველაზე უფროსის, გიორგის შვილიშვილია ვერიკო ანჯაფარიძე. თვით ვერიკოს დედა მარიამ მესხის ასული ქუთაისის თეატრში მსახიობობდა.

ასეთი ბუდე-ოჯახიდან გამოსულ ადამიანს, რა გასაკვირია, რომ ბრწყინვალე სცენური ნიჭი და თეატრისადმი დაუცხრომელი მისწრაფება გამოჰყვა.

ცხრა წლის ყოფილა ვერიკო ანჯაფარიძე, როდესაც მას ქუთაისის თეატრში უკვე პროფესიული დასის წარმოდგენა უნახავს. მას შემდეგ მის გულში თეატრისადმი სიყვარულის ის ნაპერწკალი გაღვივებულა, რომლის ალი დაუსაბამოდ ანთებს ჩვენდა საამაყოდ.

ანჯაფარიძის პატარა ქალი თეატრის მიმზიდველ ძალას თავდავიწყებით მიჰყვა. პატარა ვერიკო, ალექსანდრე იმედაშვილის მიერ განსაჯერებული გმირების, უსამართლობის წინააღმდეგ აჯანყებული ვაჟკაცების სიკვდილს ისე მწარედ განიცდიდა, რომ გულამოჯდარი ტირადა, სანამ სიტყვათხელოვან მსახიობს ცოცხალს და უკნელს არ უჩვენებდნენ. პატარა ვერიკომ უკვე თავის მოწოდებას მიაგნო, რაკი ნანო ჩხეიძის შედეგსა და ზეინაბის, ამალიასა და მაგდას ნათელმოსილმა ხმამ მისი სული და გული მთლად, ერთიანად შესძრა და აამოქმედა, აამღელვარა. წმინდა ნინოს სასწაველბლის წინაფრიანმა მოწაფემ გულში მსახიობობა ამოიჭრა, რაკი გიორგი არადელ-აშხნელის მძლავრი ნიჭის შუქთაფენაში მოექცა, რაკი მისი ანანიას მიერ ნათქვამი სიტყვები მოსწავლე ქალს ძილშიაც კი აბოდებდა...

შალვა დადიანმა თავის პიესაში „გუშინდელნი“ ასე სახიერად გამოხატა ახალგაზრდა ქალის „მოქალაქეობრივ მოფეთქებათა“ დასასრული. ამ პიესის მოქმედი პირი ფაცია ამბობს: „საშინელი ხატვის ნიჭი აღმომაჩნდა... მერე რა? საიდან შეიძლებოდა ამ ჩემს ნიჭს გაეყოლოდი?.. ჯერ თვით სასწავლებელში უფრო დაცინეთ ეკიდებოდნენ ჩემს გატაცებას და სხვა აბა ვინ გამამხნევებდა?! ნავახშე ეს მოფეთქებაც... შემდეგ ქართულმა წარმოდგენებმა გამიტაცა... არც ერთ წარმოდგენას არ ვაკლდებოდი... გულში გადავწყვიტე თეატრისათვის თავი შემეწირა... რა საკვირველია, არც ეს მოხდა... ჩვენმა შორეულმა ნათესავმა კნეინა ჩიტუნიამ გაიგო... კინაღამ ჯვარს მაცვა და აი, ასე დასრულდა ჩემი მოქალაქეობრივი მოფეთქება და მეც ბედს შევურიგდი“.

მაგრამ ვერიკო ანჯაფარიძემ ქედუხრელი შეუთვლობა გამოიჩინა და ბედს არ შერიგებია, არც დამორჩილებია. თავის ბედის გამოჭედვას თვითონვე შეეცადა. მან მოსკოვს მიაშურა. და იქ დრამატულ სკოლაში აქტიორული ხელოვნების შესწავლას შეუდგა. შემდეგ თბილისში გ. ჯაბადარის თეატრსტუდიაში განაგრძობდა თავის თავზე მუშაობას.

აღსანიშნავია ათწლიანი პერიოდი, როდესაც ვერიკო ანჯაფარიძე კოტე მარჯანიშვილთან მუშაობდა. ამ დიდი რეჟისორისაგან შეითვისა მან პიესისა და როლის დროსთან თანადროულობის თვალსაზრისით გაგება, პიესისა და როლში უმთავრესის მიგნება.

ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედება იმდენად ხალისიანია, თითქოს მისი ყოველი როლი იმეორებს კოტე მარჯანიშვილის სიტყვებს: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული; შთაბეროს მას მხნეობა“. მოსკოვის დრამატულ სკოლაში სწავლით და კოტე მარჯანიშვილთან მუშაობით ვ. ანჯაფარიძემ შეითვისა რამ სტანისლავსკის სისტემიდან.

ვერიკო ანჯაფარიძემ თავის ბრწყინვალე ნიჭის აღმაფრენით და უზადო ოსტატობით დაგვიხატა მთელი გალერეა ქალებისა: ფატი — „ვინ არის დამნაშავე“, გინატრე — „ნინოშვილის გურია“, ცაბუ — შ. დადიანის „ნაპერწკალი“, სვეტლანა — მ. ჭიაურელისა და ლ. ასათიანის „1917 წელი“, აიშე — ი. ვაკელის „შური“, ჟენია — ა. აფინოგენოვის „შორეული“.

ვერიკო ანჯაფარიძე იშვიათი სცენური მონაცემებით დაჯილდოებული მსახიობი იყო. მას არაჩვეულებრივი მონაცემები გააჩნდა, საკმარისი იყო, ფეხი შეედგა სცენაზე, მოქცეულიყო სცენის თავისებურ განათებაში, რომ ის გადაიქცეოდა ხელთუქმნელი სილამაზის განსახიერებად. ამ ბრწყინვალე სცენურობის მადლმოსილებასთან ერთად, ვერიკო ანჯაფარიძეს ბადალი არ ჰყოლია მსახიობთა შორის პლასტიკურობაში. მისი სხეული არაჩვეულებრივად მეტყველი იყო, არა, მეტყველი კი არა, მომდერალი იყო. მისი სხეულის პლასტიკურობა, ყოველთვის ჰარმონიულად შეთხზული გრძნობითა და აზრით გამომეტყველი ულამაზესი მოძრაობა —ისევე შობლიური იყო, მაყურებლის სულსა და გულში ჩაძწვდომი, როგორც გრიშაშვილის ლექსი და სარაჯიშვილის სიმღერა. ამ

საზღაპრო პლასტიკურობის ნიჭით მადლმოსილ მსახიობს უნარი შესწევდა ხან ხალხური შაირის სისადავით და სიბრძნით აემეტყველებინა მოძრაობა, ხან სასახლეებში განატიფებული ქალების მანერულობით დახვეწილიყო და გამძვრალიყო ნემსის ყუნწში, სასწაულმოქმედი მოხდენილობით.

როგორც „ვეფხისა და მოყმის შებმაში“ ელაყს ხალხური გენია, ასევე ხალხურობის მადლმოსილებით ნათელს ჰფენდა ქართულ ეროვნულ სცენას ვერიკო ანჯაფარიძის მიერ შექმნილი ქალთა სახეები.

ვ. ანჯაფარიძეს როგორც ლირიკოს მსახიობს, ჰქონდა დიდი არტისტისათვის დამახასიათებელი თვისება — სცენაზე ქმედობა მისთვის დღესასწაული და განუზომელი ბედნიერება იყო.

მაყურებელს არ დააკარებდა ვ. ანჯაფარიძის ოფელია — „ჰამლეტი“, ოკდითი — „ურიელ აკოსტა“, ლუიზა — „ვერაგობა და სიყვარული“, ალმავივა — „ფიგაროს ქორწინება“, კლეოპატრა და სხვა.

ქართული სცენის სიამაყემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, თავისი უდიდესი სამსახიობო შესაძლებლობებით, დაამტკიცა, რომ ქართველი მსახიობები საქვეყნოდ ითვლებიან საუკეთესო გამომხატველებად მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებებისა.

რედაქციისაგან:

წინამდებარე მასალის მოძიებაში მეგზურობა გავგიწია ბატონ დ. ჯანელიძის თეატრალურმა გამოკვლევებმა, რისთვისაც მოკრძალებულ პატივს მივაგებთ ქართული თეატრალური ხელოვნების მეამატიანის ნათელ ხსოვნას.

დიალოგი დიპლომატთან არადიპლომატიურ თემაზე

სტუმრად ჩინეთის საელჩოში, ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ბატონ ჩუან ინცზიუანთან

ნებისმიერი ერის კულტურა მით უფრო მდიდარია და მრავალფეროვანი, რაც უფრო მეტ ქვეყანასთან და ხალხთან ამყარებს კონტაქტებს ეს ერი. ასე იყო მუდამ, ასეა ახლა და მომავალშიც ასე იქნება.

სწორედ პოლიტიკურ და კულტურულ კონტაქტთა დამყარება და განვითარება სახელმწიფოს სიძლიერესაც განამტკიცებს და სულიერადაც მანამდე მიუწვდომელ დონეს აზიარებს.

ისტორიულად, საქართველოსაკენ ლტოლვა და სხვადასხვაგვარი ინტერესი ყოველთვის ჰქონდათ უცხო ქვეყნებს და ასეა ახლაც. დღეს მოწმენი ვართ იმისა, რომ მრავალი დიდი ქვეყნის საელჩოა საქართველოში, რომლებიც თანამედროვე ეპოქალური პროგრესის მოთხოვნილებების შესაბამისად, მაღალი დონის დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევიან ჩვენს ქვეყანასთან — მშვიდობის, კეთილდღეობისა და ცხოვრებისეული სფეროების ორმხრივი განვითარების მიზნით.

ერთ-ერთი ასეთი საელჩო, რომელსაც ჩვენი რედაქცია ესტუმრა, გახლავთ ჩინეთის საელჩო. იგი მდებარეობს თბილისის ძველ უბანში — ვერისუბანში, ბარნოვის ქუჩაზე. საელჩოს შენობას გვერდს უმშვენებენ თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა — ივანე ჯავახიშვილის სახელობის საუნივერსიტეტო — 53-ე საშუალო სკოლა და დიდი ტრადიციების მქონე ეკგენი მიქელაძის სახელობის მე-9 სამუსიკო სკოლა-კოლეჯი.

ჩინეთის საელჩოში შესვლისთანავე შეიგრძნობდა უაღრესად მაღალი კულტურა და უშუალობა იმ ადამიანებისაგან, რომელთაც უფლებამოსილების შემდგომ მეგზურობა გამიწიეს ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ბატონ ჩუან ინცზიუანთან შესახვედრად.

ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ჩუან ინცზიუანი დაბადებულია ჩინეთში, ქალაქ ტიანცზინცში 1940 წელს (ქალაქი ტიანცზინი ჩინეთში მესამე ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობით). ბატონი ელჩი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს პეკინის ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. შემდგომში ეუფლება ეკონომიკის სპეციალობას ამიტომაა, რომ მშობლიურ ჩინურ ენასთან ერთად მშვენივრად ფლობს რუსულ ენასაც. ჰყავს მშვენიერი მეუღლე — ლი სზინლიანი (ეს გვარი ჩინურად ოქროს ყვავილს ნიშნავს თურმე) და ერთი ვაჟიშვილი.

ბატონი ჩუან ინცზიუანი 1996 წლიდან ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია საქართველოში. გთავაზობთ საუბარის ჩანაწერს ჩინეთის ელჩთან.

— ბატონო ელჩო, უპირველესად, გაზეთ „ვერისუბნის“ რედაქცია მადლობას მოგახსენებთ გულთბილი და უშუალო მიღებისათვის (მიღების დროს ბატონი ელჩი არაჩვეულებრივი სიდარბაისლითა და თავმდაბლობით შეგვეგება და გვიმასპინძლა მშვენიერი ჩინური ჩაის ბლუდით, რამაც საუბარი უფრო და უფრო თბილი და მეგობრული გახადა, აგრეთვე, იმ უდიდესი და უკეთილშობილესი მისიისათვის, რასაც საქართველოში თქვენი ელჩად მოღვაწეობა ჰქვია, ალბათ, სიამოვნებით ართმევთ თავს ამ თქვენს მისიას?

— რა თქმა უნდა, ჩემთვის სასიამოვნოა იმ სფეროში მოღვაწეობა, რაც მაინტერესებს. დიპლომატია ეს ისეთი ფენომენია, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია. უფრო კონკრეტულად, — ურთულეს სიტუაციამიც კი დიპლომატმა მკაცრად უნდა დაიცვას ის მოთხოვნილებები, რომელნიც მის პროფესიულ მისიასთანაა დაკავშირებული. ჩემი, როგორც დიპლომატის მისია, შემდეგში მდგომარეობს: დავაახლოვო ერთმანეთთან ორი ხალხი და განვავითარო ურთიერთობები ორივე ქვეყნის აღმშენებლობისათვის (იგულისხმება საქართველო და ჩინეთი).

— როდის გაეცანით საქართველოს?

— ჯერ კიდევ 10 წლის ვიყავი, როდესაც ცნობილი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი და მსოფლიო მნიშვნელობის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ჩინურ ენაზე ითარგმნა (1950 წელს), რომელსაც გვასწავლიდნენ, როგორც კლასიკური მწერლობის ნიმუშს სკოლის მოსწავლეებს. ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში „ვეფხისტყაოსანმა“ როგორც სიყვარულის და მეგობრობის ჰიმნმა, წარუშლელი კვალი დატოვა, ამასთან, ქართული სიმღერა „სულიკო“, რაც თავი მახსოვს, საკმაოდ პოპულარულია მთელს ჩინეთში. (ახლახან, 1998 წლის სექტემბერში, თბილისში საგასტროლოდ მოვლინებულმა ჩინელმა მუსიკოსებმა, ჩინურ საკრავებზე შეასრულეს „სულიკო“, რასაც დიდი აღფრთოვანება მოჰყვა ქართველი მსმენელებისაგან).

უნდა მოგახსენოთ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ყველაზე მეტად ჩინეთში სამი რესპუბლიკაა ცნობილი: საქართველო, რუსეთი და უკრაინა. მე მხოლოდ იმ წარმოდგენაზე გესაუბრეთ, რომელიც შემიქმნა წაკითხულმა და გაგონილმა საქართველოს შესახებ, ხოლო რაც შეეხება ხილვას, პირველად 1985 წელს ვიხილე ეს მშვენიერი ქვეყანა, როდესაც ერთთვიანი ვიზიტით, ჩინელი ეკონომისტების დელეგაცია ჩემი მეთაურობით ეწვია საქართველოს — თბილისს, შემდეგ მოსკოვს, ლენინგრადს, ვილნიუსსა და ტაშკენტს. თბილისში ჩამოსვლისთანავე უფრო სრული წარმოდგენა შემექმნა საქართველოზე და ქართველებზე. ახლა კი ძალზე ახლოლად ვთვლი საქართველოს, რადგან უფრო მეტი შევიტყვე ამ ქვეყნის შესახებ და შევიყვარე კიდეც აქაურობა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ერი ბედნიერია დიდი და კეთილშობილი ისტორიის, ბრწყინვალე რომანტიული ბიოგრაფიის პატრონი.

— საკუთარი ქვეყნის ნოსტალგიაზე რას გვეტყვით?

— ჩემი ქვეყანა, ჩინეთი, სულ მახსოვს და სულ მენატრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისუფალი დრო აღმომაჩნდება ხოლმე (ბატონი ელჩი თავისუფალ დროს ანდომებს კითხვას და ისმენს მუსიკას). მოგეხსენებათ, ელჩისათვის რაოდენ დეფიციტია თავისუფალი დრო. განსაკუთრებულად მიმსუბუქებს მშობლიური ქვეყნიდან სიშორეს ჩემი მეუღლე — ქალბატონი ლი სზინლიანი, რომელიც დიდი მეგობარია ჩემი და საოცარი სათნოებისა და სხვა უამრავი კეთილშობილური თვისებებით აღსავსე ქალბატონია. იგი ეტალონია ჩინელი ქალის ფენომენისა, რომელიც ხშირად, კრიტიკულ მომენტებშიც კი, თავისი ადამიანური თვისებებით მამაკაცზე მაღლა დგება. მე და ჩემს მეუღლეს აქ, საქართველოში, ბევრი მეგობარი გვყავს, რომლებიც ბედნიერებას ჰმატებენ ჩვენს მიერ აქ გატარებული ცხოვრების წლებს, დღეებსა და წუთებსაც კი, მე მადლობელი ვარ მათი.

— გმადლობთ, წარმატებებს გისურვებთ თქვენი კეთილშობილური მისიის აღსრულების საქმეში, თქვენს პირად ცხოვრებაში და ყოველთვის ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი მშობლიური ქვეყანა ჩინეთი, რომლის უძველესი და უმშვენიერესი კულტურა ბრწყინვალებაა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში.

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, მშვიდობას და ბედნიერებას ვუსურვებ საქართველოს.

შჯერა, გაზეთი „ვერისუბანი“ ისეთივე მშვენება იქნება ქართული პრესისათვის, როგორიც თავად ვერისუბანია თბილისისათვის.

ასეთი უშუალობითა და მოკრძალებულად დავასრულე საუბარი ჩინეთის ელჩთან, ბატონ ჩუან ინცზიუანთან, რომელიც დიდ ხანს მემახსოვრება...

მაია კუსიანი-ჟაჩაბელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტრიხები მხატვრის ცხოვრებიდან

ავთო ვარაზი

ავთო ვარაზი დაიბადა 1926 წელს თბილისში ძველი ტრადიციების, დიდად განსწავლულ ოჯახში.

ავთოს მამა — ვასილ სოფრომის ძე ვარაზი (ვარაზიშვილი), პათფიზიოლოგი, ბიოქიმიკოსი, დოქტორი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ბიოლოგიური ქიმიის კათედრის გამგე, დაიბადა 1888 წელს თბილისში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. იყო ცნობილი პათფიზიოლოგიის დოქტორ კრინბერგის საყვარელი მოწაფე. კრინბერგმა სთხოვა (რევოლუციის შემდეგ) გაყოლოდა გერმანიაში ერთობლივი მუშაობისათვის, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება ირჩია. 1914 წელს გაიწვიეს ჯარში. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, როგორც პოლკის ექიმი, ირანის ტერიტორიაზე. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ იგი ქართული უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მონაწილე იყო. 1925 წელს დაიცვა დისერტაცია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1938 წელს გერმანულ ჟურნალ „ექსპერიმენტალურ მედიცინაში“ გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე ნობელის პრემიის კომიტეტმა იგი შესაძლო კანდიდატად ცნო და პირდაპირ დაუშვა მესამე ტურის კონკურსზე.

დედა-ელისაბედ გასპარიანი-ვარაზისა, თურქეთიდან ემიგრირებულ მშობლებთან ერთად შეიფარა ვასილის მამის სოფრომის ოჯახმა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ელისაბედი ხატვის მასწავლებელი იყო. უმაღლესი განათლება თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო. თუმცა სპეციალობით არ უმაშავია და მთელი თავისი დრო შვილების აღზრდას დაუთმო.

ავთოს ძმებსაც, ვახტანგსა და ლევანს, გამოყვათ ხელოვნების ნიჭი, მაგრამ მათ მედიცინის დარგში მოღვაწეობა ირჩიეს.

ავთოს ბიძები — ივანე, ისიდორე და გიორგი ვარაზიშვილები საქართველოში ცნობილი ადამიანები იყვნენ. ივანემ და ისიდორემ გიორგი ნიკოლაძესთან ერთად ჩამოაყალიბეს „ჭიათურის მარგანეცის მომპოვებელი საზოგადოება“. გიორგი იყო თბილისში პირველი წყალსადენის პროექტის ავტორი. გიორგიმ და ისიდორემ გერმანიაში, კერძოდ, ჰამბურგში, პირველ რუსთაველის საზოგადოებას ჩაუყარეს საფუძველი. ისინი ცნობილნი იყვნენ აგრეთვე, როგორც მეცენატები. ბევრი ქართველი სტუდენტი, მათ შორის, ვანო სარაჯიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, მათი საზოგადოების სტიპენდიით სწავლობდნენ საზღვარგარეთ.

ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ: ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ბაუბეუქ-მელიქოვი, ჯოტო გრიგორიანი, კოჩარი, ელენე ახვლედიანი, ლეონიდ პოტაპოვი, ვასილ შუხაევი და სხვები.

ვასილ ვარაზი

* * *

ავთანდილ ვარაზმა ადრე დაიწყო ხატვა. ის ეცნობა ხელოვნების ისტორიას, ხშირად დადის მუზეუმებში, არქიტექტურის ძეგლების სანახავად, აგროვებს რეპროდუქციებსა და წიგნებს მხატვრების შესახებ. ხელოვნებისმცოდნე რენე შმერლინგმა სწორედ ბუკინისტურ მაღაზიაში მიაქცია ყურადღება უცნობ ჭაბუკს, რომელიც გატაცებით ფურცლავდა ძველ წიგნებს და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მიიყვანა იგი. 1943-1948 წლებში ავთანდილ ვარაზი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტია, ხოლო 1948 წელს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. მაგრამ, ამავე დროს, იგი თავს არ ანებებს ხატვას, ხშირად ესწრება ხატვის გაკვეთილებს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

ახალგაზრდა მხატვარმა სერგო ქობულაძის ყურადღება მიიპყრო. ამასთან ერთად, იგი გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება ხელოვნების ისტორიას. ეცნობა მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმებს. იმ წლებში გაძლიერდა მისი ინტერესი ზეთით ფერწერის ტექნოლოგიის სპეციფიკის საკითხისადმი. მაშინ შექმნილი ნამუშევრები უშუალოდ ძველი ოსტატების სურათებითაა შთაგონებული.



ავთო ვარაზის პორტრეტი.
ავტ. ა. ბაუბეუქ-მელიქოვი

ავთო ვარაზის ფერმწერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მხატვარ ალექსანდრე ბაუბეუქ-მელიქოვთან მეგობრობამ და მისგან მიღებულმა გაკვეთილებმა. სწორედ ა. ბაუბეუქ-მელიქოვმა დაწერა ვარაზის მშვენიერი პორტრეტი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ამავე პერიოდში დაუახლოვდა ავთანდილ ვარაზი ლადო გუდიაშვილს და მისი სახელოსნოს ხშირი სტუმარი გახდა. იზიდავდა მას დავით კაკაბაძის შემოქმედებაც.

ა. ვარაზის მხატვრული ინტერესების მრავალფეროვნებას მოწმობს მის მიერ სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ნახატები. ეს ნატურიდან სწრაფი ჩანახატები ან ზეპირად შესრულებული ნახატებია, ზოგჯერ კი ძველი ოსტატების თავისებური გახსენება, რომლებიც იხატებოდა ხან ძალიან სწრაფად, ფუნჯის ერთი მოსმით, ხან კი გულმოდგინედ, ფორმების დამუშავებით.

მხატვარი 1977 წლის მარტში გარდაიცვალა, ხოლო ამავე წლის მაისში შედგა მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ავთანდილ ვარაზი ბევრს მუშაობდა და გამოსახვის საშუალებათა დახვეწას ცდილობდა. თავის საქმეს აკეთებდა იმ უანგარო სიყვარულით, რომელიც ნამდვილ მხატვარს გამოარჩევს.

მერი კარბელაშვილი

* * *

ვარაზი ჩემთვის იგივეა, რაც თბილისი.

ყველაფერი, რაც ახალგაზრდობას მახსენებს, ავთოსთანაა დაკავშირებული. ჭირსა თუ ლხინში ერთად ვიყავით. თუკი ადამიანში რაიმე საკეთე არსებობს, ავთოში იყო თავმოყრილი. ვარაზი ჩემთვის იგივეა, რაც თბილისი, უბანი, რომელშიც გავიზარდე, ხალხი, რომელიც მიყვარს. არ მეგულება კაცი, რომელმაც ისე იცოდეს თბილისის ქუჩები, სახლები და თუნდაც ეზოები, როგორც მან იცოდა. ჩვენს ახალგაზრდობაში ძველ უბნებს ინტენსიურად ანგრევდნენ. ბედნიერი იქნებოდა ავთო, განახლებული ადგილები რომ ენახა, თუმცა, პირვანდელი სახე მათ მაინც ვერ დაიბრუნეს. ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ერთი ცოდვა აქვს ჩემს მიმართ ჩადენილი — ისე შემაყვარა თბილისი, ალბათ, მკვდარიც ვერ მოვისვენებ, თუ ამ მიწამ არ მიმიბარა. კითხვებზე ქართულად იმიტომ ვპასუხობ, ასე მგონია, ავთოს სახელს სხვანაირად არ შეეფერება. ავთომ ისე გააღარიბა თავისი წასვლით ჩემი სული, როგორც სიცოცხლეში ოდნავ დამცინავი, მაგრამ მაინც საოცრად კეთილი ღიმილით ამდიდრებდა. ვარაზმა დროს გაუსწრო. მასზე, როგორც მხატვარზე, უფრო და უფრო მეტს ილაპარაკებენ, მჯერა, იგი თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ალბერტ დილბარიანი

* * *

ლევ ტოლსტოის პასუხი შვეციის მხატვართა და მეცნიერთა საზოგადოებას: „ის, რომ ნობელის პრემია მე არ მერგო, ორმაგად მსიამოვნებს: ერთი ის, რომ ამცდა ფულის მოხმარებაზე იძულებული ზრუნვა, რაც მე, სხვებისგან განსხვავებით, ყველა ბოროტების წყაროდ მიმაჩნია და მეორე ის, რომ მომეცა საბაბი... ჩემთვის საპატივცემულო ადამიანებისათვის წრფელი მადლიერება გამომეხატა“. 1902 წლითაა დათარიღებული.

ამ ამბიდან 30-35 წლის შემდეგ ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის ქართველი ბიოლოგი ვასილ ვარაზიშვილიც დასახელდა (მეცნიერმა შვეციიდან ოფიციალური წერილი მიიღო).

ვასილ ვარაზიშვილმა მრავალთათვის საოცნებო შანსი არაფრად ჩააგდო, არც წერილზე გაუცია პასუხი და არც უცნობ დამფასებლისათვის გადაუხდია მადლობა.

ტოლსტოის არ იყოს, მეცნიერსაც პრემიის იგნორირებისათვის ორი საბაბი ჰქონდა: ერთი ის, რომ იგი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო და სასიკვდილო იარაღის წარმოებით გაკეთებულ ფულს ვერ აიღებდა; და მეორეც ის, რომ ნობელის პრემია სისხლიან საბჭოთა რეჟიმს ესაჭიროებოდა, გაუგონარ დანაშაულებათა შესანიღბად.

ცხადია, ავთო ვარაზს ნონკონფორმიზმი ოჯახიდან მოსდგამდა როგორც ბუნებრივი თვისება და იგი არასოდეს ყოფილა დეკლარაციული. ავთო თავდადებით ემსახურა ხელოვნებას.

მისი ტალანტი, კულტურა, ფერწერის, ხატვის გარდა, უსაზღვრო ცნობისმოყვარეობაშიც მჟღავნდებოდა. ავთოს ცნობისმოყვარეობა აშკარად რენესანსული იყო: ნასწავლი ჰქონდა ფერწერის ტექნოლოგიის მრავალი საიდუმლო, შეეძლო ზეთების, ლაქების, პიგმენტების, გრუნტების, გამხსნელების დამზადება. იცოდა ნიდერლანდული (ვან ეიკი) მეთოდით ემულგირებული საღებავის დამზადება; დაზგური, კედლის ფერწერის, რესტავრაციის ტექნოლოგია; გატაცებული იყო ისტორიით, არქეოლოგიით.

ავთო განათლებით არქიტექტორი იყო, თუმცა, არქიტექტორად არ უმუშავია. არ უყვარდა ახალი დროის არქიტექტურა. საბჭოთა არქიტექტურას „რკინა-ბეტონის ჯოჯოხეთს“ უწოდებდა. განიცდიდა ნაღდი თბილისის უმოწყალო ნგრევას,.

ვახტანგ რურუა

მხატვრის გამონათქვამები

* „ხელოვნება არის ადამიანისათვის ისეთივე მოთხოვნილება, როგორც სმა-ჭამა, მოთხოვნილება სიმშვენიერისა და შემოქმედებისა“, — დოსტოევსკის ეს ნათქვამი მაგონდება ყოველთვის, როცა ხელოვნების არსზე ვფიქრობ.

* მახსოვს ჩემი პირველი გამოფენა როგორ ჩაიშალა: ფერადი ფანქრებით შესრულებული რამდენიმე ნახატიდან ამოვარჩიე ერთ-ერთი და სტუმრების მოლოდინში კედელზე ჩამოვკიდე, სტუმრები მოვიდნენ და წავიდნენ ისე, რომ ჩემი ნახატი არც შეუმჩნევიათ. გული დამწყდა, ეჭვიც შემეპარა, შემიძლია ხატვა თუ არა. მაშინ ხუთი წლის ვიყავი.

* და ახლა, როცა 45 წლისა ვარ, ბევრი მიხატია, ვფიქრობ... იმას, რასაც ვაკეთებ „თვითნასწავლი“ და „სხვისნასწავლი“ მხატვარი. თავისი თავის მასწავლებელი მხატვარი თავად უნდა იყოს — თვითონ თუ არ დაინახა, ვერ შეიგრძნო, სხვა ვერ დაანახებს და ვერ შეაგრძნობინებს.

* მხატვარი ბუნებისაგან ღებულობს რჩევას, ივსება, იახლებს ხედვას, იაზრებს გარემოს. როცა ტილოს უჯდება, თავად არ იცის მხატვარმა, რა გამოვა მისი ნამუშევრისაგან, რადგან მხატვარი მხოლოდ მუშაობის დროს ცხოვრობს. მთავარია, ნახატი გესაუბრებოდეს და სუნთქავდეს. მართალია, ნახატის ბოლო ლურსმანია, რომელზედაც უნდა ეკიდოს იგი მუდმივად თუ დროებით, მაგრამ მხატვარს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ავიწყდებოდეს, რომ იგივე ლურსმანზე მისი ცხოვრების ნაწილი ჰკიდია.

* გარემო, რომელიც თითქოს არ იწვევს ემოციებს, მაინც იჭრება ჩვენს ფსიქიკაში. იქნება ეს ასანთის კოლოფი თუ დაგდებული ნებისმიერი საგანი; ჩიტების ჭიკჭიკი თუ ნაგვის მანქანის ნაბათი; გაფუჭებული ონკანის გაუთავებელი შხუილი თუ მიტოვებული ძაღლის ყმუილი.

* კარგი იქნება, თუკი ხანდახან ადამიანი ჩაიწერს სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა ბავშვს არ ესმის (მაგალითად, შურისძიება, ბოროტება, ვერაგობა) და იფიქრებს — საჭირო არიან კი ისინი?

* ხელოვნება არის იქ, სადაც სულიერება და გრძნობაა.

* ჰგავდეს შენი მუშაობა ფრინველთა ფრენას. როგორც კი იფიქრებ, როგორ უნდა გა-

აკეთო, აღარაფერი გამოვა.

* არ მჯერა იმ ცუდად მოწყობილი სათბურებისა, სადაც უცოდინარებსა და დილეტანტებს დრესირებული მხატვრების ახალი სახეობის გამოყვანა სწადიათ.

* რაც უფრო დიდია მხატვარი, მით უფრო მეტად „ტყუის“ იგი ფერწერაში და გვაჯერებს.

* ძველი ოსტატები „გვკარნახობენ“.

* სურათების ხელმოწერა სისულელეა გარკვეული თვალსაზრისით. გაიხსენე უსახელო ტაძრები, ფრესკები, ტილოები.

* მხატვარი განიცდის, ზოგჯერ თავს იკლავს. მერე ვინმე ახარისხებს, იარლიყებს ადებს. ავიწყდებათ, რომ იგი ტაძარს აშენებდა.

* ამცირებენ სამუშაო დღეს, რათა რაც შეიძლება მეტი იმუქთახორონ. რა შეიძლება შეედაროს შრომის სიხარულს — უმოქმედობა?

* თავისი საქმის დიდოსტატი მისთვის უცხო სფეროში შეჭრის მცდელობის დროს გარდაისახება... გონებაჩლუნგად.

* თუ გსურს პატიოსნად იცხოვრო, უნდა ისწრაფო, იწვალო, შეცდე, დაიწყო და მიატოვო, მუდმივად იბრძოლო და გარდაისახო, ხოლო სიმშვიდე სულიერი საძაგლობაა...

მორის ფოცხიშვილი

იქნებ არც გვემღერებოდა, მაგრამ ვმღეროდით.
იქნებ არც გვექილიკებოდა, მაგრამ ვქილიკობდით.
იქნებ არც გვეხუმრებოდა, მაგრამ ვხუმრობდით...

მთავარი მაინც ის იყო, სიმართლე, რომელსაც მარადიული ყადაღა ჰქონდა დადებული მავანთა და მავანთა მიერ, როგორმე მიგვეტანა ხალხის ყურამდე, იქნებ გულამდეც. გზა გადაკეტილი იყო ყველგან. ერთადერთი „ნიანგი“ აღმოჩნდა, სადაც, ასე თუ ისე, მაინც აუნთეს მწვანე შუქი იგავად და იკლიკანტურად თქმულ სიტყვას.

ასე გაჩნდა ჩემს სამწერლო საჭადრაკო დაფაზე იუმორისტული სვლა.

„იუმორისტული პოეზია“ — ასე მონათლა ზაურ ბოლქვაძემ მაშინ ჩემი „ძნელად საკითხავი ლექსების“ დიდი ნაწილი იმ „უძრაობისა და ყრუმუნჯობის“ ეპოქაში.

მადლობა ღმერთს, ახლა ამ ლექსებს „ძნელად საკითხავ ლექსებად“ აღარავინ მიიჩნევს. მაგრამ ისტორია მაინც ისტორიაა. ხანდახან არც მას ემღერება, მაგრამ მღერის, არც მას ექილიკება, მაგრამ ქილიკობს, არც მას ეხუმრება, მაგრამ ხუმრობს...

არადა, სატირალი რომ არ იყოს, გიყვარდეს, სასაცილოს რა გამოლევს ქვეყანაზედ.

მორის ფოცხიშვილი

„ვერის უბნის მელოდიებიდან“

ხმას არ იღებს, გულში ფიქრობს,
ერია თუ ბერია, —
„მაშინ რაღაც მაინც იყო,
ახლა არაფერია!“

ბევრი უხმოდ წრუპავს „სიტროს“, —
„დოს მარილი აკლია“,
„მაშინ ყრუმუნჯობა იყო,
ახლა ლაპარაკია!“

ზოგი ძველ დროს ვერ ელევა,
როგორც კუთვნილ კერიას, —
„ცუდიც ბევრი იყო, მაგრამ
კარგიც ბევრი ერია!“

თავს იზღვევენ ზოგ-ზოგები
და ძველ „მარშებს“ მღერიან, —
„მაშინ უველაფერი იყო,
ახლაც უველაფერია!“

იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ,
ცოტაა თუ ბევრია, —
„მაშინ არაფერი იყო,
ახლაც არაფერია!“

ერთფეროვნება

აუტანელი ერთფეროვნება
აუტანელი ხდება,
ღამე, რომელიც დღეს ეომება,
ტოვებს ჩვენს გულში სევდას.

ვერც სილამაზე,
ვერც ხელოვნება,
ვერ იქმს სასწაულს, ვხედავ, —
აუტანელი ერთფეროვნება
აუტანელი ხდება.
დნება თოვლი და
ჯდება კვერცხებზე
ჩიტი სიცოცხლის დედად, —
თევზს რომ ვერ იჭერს
ძველი მეთევზე
აუტანელი ხდება.

ბედნიერი და
მაინც ტანჯული
რჩება პოეტი სახტად, —
ბოლოს და ბოლოს
ეს სიყვარულიც
აუტანელი გახდა!

იცის ქვეყანამ, არ ვართ მონები,
მაგრამ არ გვწყალობს ბედი,
აუტანელი ერთფეროვნების
ერთფეროვნებით ვცვდებით...

ო, რომ შემეძლოს,
შევწყვეტ ბრძოლას და
ტვინში ვითხლიშავ ტყვიას,
მაგრამ რა მერე,
თვითმკვლელობასაც
ერთფეროვნება ჰქვია.

და მიდის ასე ჩვენი ცხოვრება
ცუდად,
კარგად თუ
ცუდად,
ერთფეროვნების ერთფეროვნება
ერთფეროვნებით გვზღუდავს.

არის იჭვი და ბორგვა ნიადაგ
არის ფრჩხილების კვნეტა, —
რაც შეიცვალა, შეცვლილია და
არ შეიცვლება მეტად!

ისევ ლტოლვა და ისევ თარეში,
გვიჭირს, ნამდვილად გვიჭირს, —
ერთფეროვნების ცისფერ ბრჭყალებში
კვლავაც სულს ღაფავს ნიჭი.

ორცეცხლშუა

დრო და ჟამი დანა-ჩანგალს მიცვლის,
ურჯულოებს კვლავაც ჩვენი რიდი აქვთ, —
ვაი, რა ვქნა, ქართველები ვიცი,
ქართველობას დახლებქვეშ რომ ჰყიდიან.

სირცხვილს როგორ გავექცევით, სირცხვილს,
უფსკრულია, წყვდიადია, წყლულია, —
მე ისეთი პოეტები ვიცი,
სიმართლეს რომ ამბობენ და სტყუიან.

ფიცი რაა, რას მიქვია ფიცი,
დაღვრილია სისხლი, როგორც იდეა,
მე ისეთი რაინდებიც ვიცი,
რაინდულ ვალს სუფრაში რომ იხდიან.

ღმერთო ჩემო, ნუ დამინდობ მიწყივ,
ვამბობ, რადგან შეცოდება დიდია, —
მე ისეთი „ბეთანია“ ვიცი,
ბეთანია ფეხებზე რომ ჰკიდიათ.

გული ჩემი გაყოფილა ორად,
ტურისტები მოდიან და მიდიან, —
საცოდავო ჩვენო კოხტაგორავ,
ღვთის შეწევნით სული კიდევ გვიდგია.

ლილისფერი ლოდინი

ლოდინს ლილისფერს, ნეტა, რა ჰქვია,
შენს წვიმებს თვალში წამლად ჩავისხამ, —
სიბრძნე ამ ქვეყნად წლების საქმეა,
სიგიჟე — რაღაც ერთი წამისა!

ცა არის, მაგრამ მიწაც აქვეა,
დღე ითქვიფება მწუხრში დაისად, —
სიცოცხლე ჩვენი წლების საქმეა,
სიკვდილი — ალბათ ერთი წამისა.

წყურვილი ჩემი მძაფრზე მძაფრია,
მზეს, როგორც ხოხობს, მხარზე დავისვამ, —
ოცნება ალბათ წლების საქმეა,
მოწყენა — რაღაც ერთი წამისა!

ლოდინს ლილისფერს, ნეტა, რა ჰქვია?!

მოსმენის ნიჭი

ფუნიკულიორს, ვით ვიოლინოს,
მკერდზე იხუტებს თბილისი, ღამით,
მხოლოდ მუსიკა, სულო ცოდვილო,
სხვა არაფერი, არც ერთი წამი!

სახლები, როგორც დიდი არფები,
მთაწმინდა, როგორც მაესტრო დინჯი...
მოსმენის ნიჭი, სხვა არაფერი,
ღმერთო, მომმადლე მოსმენის ნიჭი!

წარსული, აწმყო და მომავალი

ფერფლით — წარსულში,
ცეცხლით — აწმყოში,
შუქით — მერმისში!

დარდით — წარსულში,
აზრით აწმყოში,
მადლით — მერმისში!

სისხლით — წარსულში,
ოფლით — აწმყოში,
რწმენით — მერმისში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდა ანდრია მოციქული

პირველი მოციქული, რომლითაც ჩვენ დავიწყებთ მოციქულთა ცხოვრების შესახებ თხრობას, არის მტკიცე სარწმუნოებისათვის კლდედ წოდებული მოციქულთა თავის, პეტრეს ძმა ანდრია, რომელმაც სვიმონ კანანელთან და მატასთან ერთად ქრისტიანული მოძღვრება იქადაგა ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ ჩვენ შეგნებულად ავირჩიეთ იგი, როგორც ქართველთა განმანათლებელი, რომელმაც თან ჩამოაბრძანა ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე – ხელთუქმნელი ხატი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, რომელიც აწყურის ერთ-ერთ ეკვდერში იყო მოთავსებული. თავისი დაუცხრომელი მოღვაწეობით წმ. ანდრიამ სათავე დაუდო პირველი ქრისტიანული თემების არსებობას დასავლეთ საქართველოში. ოდითგანვე დიდ ცნობისწადილს იწვევდა ცხოვრება იმ მოციქულისა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს სამშობლოსთან და ალბათ შემხვევითი არ უნდა იყოს, რომ ბერძნულ ენაზე აღწერილი მისი ცხოვრება ძველ ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილმა მთარგმნელმა და საეკლესიო მოღვაწემ, წმ. ექვთიმე მთაწმინდელმა.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უდიდეს პატივსა და ღირსებას სძენდა უძველეს უცხოურ თუ ქართულ საისტორიო წყაროთა ეჭვმიუტანელი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველო თავად უფლის მოციქულთა მიერ იყო განათლებული. უაღრესად საინტერესოდ მივიჩნევთ მიხეილ საბინინის ცნობას, რომლის მიხედვითაც წმ. ანდრია მოციქულის ცხოვრება მას იმერეთში, გელათის განთქმულ მონასტერში უნახავს და ყოვლადუსამღვდელოესი წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის დავალებით გადმოუწერია.

წმ. ანდრია პირველწოდებული გალილეის ერთ პატარა ქალაქ ბეთსაიში ცხოვრობდა და მეთევზეობას ეწეოდა, თუმცა ხელოვნებით მეთევზურისთვის უცხო როდი იყო სჯულის მიერ ნაუწყები საღმრთო სწავლებანი, რომელთაც გულისხმისყოფით იკვლევდა მაშინ, როდესაც წმ. ანდრია პირველწოდებული ცხოვრობდა, მისი სამშობლო წარმართთა ტყვეობის ქვეშ იმყოფებოდა. რომაელები დაპყრობილ ხალხებს ხშირად ძალიან მკაცრად უსწორდებოდნენ. რა გასაკვირია, რომ ამგვარი შეჭირვების ჟამს მხსნელის – მესიის მოლოდინი კიდევ უფრო მძაფრად გამოვლენილიყო ისრაელში.

უფლის წინამორბედის, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში გამოჩენამ, მისმა ძლიერმა ხმამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ღვთის რჩეულ ერში. წმ. ანდრია თავდაპირველად იოანე ნათლისმცემელს დაემოწაფა, ხოლო მას შემდეგ, რაც წინამორბედმა განკაცებულ ღვთის ძეზე მიუთითა, იგი მაცხოვარს შეუდგა, თუმცა ეს შედგომილება საბოლოო არ ყოფილა, რადგან წმ. ანდრია ხშირად ბრუნდებოდა მამისეულ სახლში და მისთვის ჩვეულ საქმიანობას – მეთევზეობას მისდევდა. ერთხელ, სწორედ ამგვარი საქმიანობისას, როგორც ამას მათე მახარებელი გადმოგვცემს, მაცხოვარმა შემდეგი სიტყვებით მოუწოდა პეტრესა და ანდრიას: „მოვედით და შემომიდეგით მე და გვყვნე თქვენ მესათხევლე კაცთა“. (მათე 4, 18-29).

უაღრესად მნიშვნელოვანია წმ. იოანე მახარებლის უწყება ანდრია მოციქულის უფალთან პირველი დამოწაფების შესახებ: „ როდესაც იოანემ მისკენ მიმავალი იესო დაინახა, ყველას მასზე მიუთითა. მეორე დღეს კვლავ იდგა იოანე და ორი მისი მოწაფეთაგანი, დაინახა მომავალი იესო და თქვა: „აჰა ღვთის კრავი“ ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყვა და გაჰყვა იესოს. იესო მობრუნდა, დაინახა, რომ მოჰყვებიან და უთხრა მათ: „რას ეძებთ?“ ხოლო მათ უთხრეს: „რაბი (რაც თარგმანით ნიშნავს – მოძღვარო, სად ცხოვრობთ?“ უთხრა მათ: „მოდით და იხილეთ“. წავიდნენ და ნახეს, სადაც ცხოვრობდა. ის დღე მასთან დაჰყვეს, იქნებოდა დაახლოებით მეათე საათი.

ერთი ამ ორთაგანი, რომელმაც იოანესაგან მოისმინა და გაჰყვა მას, იყო ანდრია, ძმა სიმონ-პეტრესი“)იოანე, I, 35-49).

სწორედ ანდრია იყო, ვინც ერთ-ერთი პირველთაგანი დაემოწაფა მაცხოვარს. ამიტომ მას უძველესი დროიდანვე განეკუთვნა პირველწოდებული, პირველხმობილი მოციქულის სახელი. მანვე მოიყვანა უფალთან თავისი ძმა – სიმონი, როგორც ამას წმინდა სახარება გვაუწყებს.

„მან პირველმა ნახა თავისი ძმა სიმონი და უთხრა: „ჩვენ ვიპოვეთ მესია“. – რაც თარგმანით ნიშნავს ქრისტეს, მოიყვანა იგი იესოსთან, შეხედა მას იესომ და უთხრა: „შენ ხარ სიმონი, იონას ძე, ამიერიდან შენ დაგერქმევა კეფა, რაც თარგმანით ნიშნავს კლდეს“. წმ. ანდრია პირველწოდებულის ცხოვრებაში (იოანე I, 41-42) უაღრესად შთამბეჭდავად არის მოთხრობილი მისი უფალთან დამოწაფება: „განათლდეს თვალნი გონებისა მისისანი, ხილვად ნათელსა მას ჭეშმარიტსა, რომელი იგი განიცადა განცხადებულთა მათ სიტყუათაგან და აურაცხელთაგან სასწაულთა. წადიერად მირბიოდა, მივიდა და შეუქცეველად შეურევდა მაცხოვარს და მისდევდა მას შეუქცეველად და სავანე მისი გამოიკითხა და ესრეთ ეძებდა რაი სავანესა მეუფისასა ქუეყანასა ზედა, უაღრესი იგი და უზესთაესი სავანე ჰპოვა. ჰპოვა წყარო იგი ცხოვრებისა უკუდავი და სურვიელად მოუხდა პირველწოდებისაცა თვისასა ვითარცა ირემი წყურვიელი და იხილა რა გემო სიტკბოებისა მისისა, არა თავს იდვა თავით თვისით, ხოლო მიღებად ზიარება იგი მიუთხრა რომელსა მის კეთილისა, არამედ ხმა უყო ძმასა თვისაცა, რაითა ეზიაროს იგიცა საფასესა მას უშურველსა“ (იხ. საქ. სამოთხე, გვ. 25).

ლურჯი მონასტერი

ლურჯი მონასტერი აგებულია XIIს-ის ბოლოს. თამარ მეფის დროს, ქართლის ყოფილ მთავარეპისკოპოსის ბასილის მიერ. წარწერა მაშენებლის გარდა, იხსენებს მის ძმას, თამარის დროის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს — აბულასანს.

შენობა ძლიერ დაზიანდა XVI ან XVII ს-ში და იმავე ხანებში საფუძვლიანად შეაკეთეს. 1873 წელს ეკლესია კვლავ განაახლეს. დაზიანებული კედლები აგურით აღადგინეს და დაუმატეს გუმბათი, რომელმაც სრულიად დაამახინჯა ძეგლი. თავდაპირველ ნაგებობას მიეკუთვნება ქვით ნაშენი კედლები, მოჩუქურთმებული სარკმელებითა და დიდი წარწერით. უცვლელია შენობის გეგმაც. ტაძარი წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობისაა და მოქმედია. ტერიტორიულად იგი მდებარეობს თბილისში, ფერისუბანში — ფერის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, რომ, როდესაც წმ. მოციქულებზე სულიწმიდა გარდმოვიდა, მოციქულებმა წილი იყარეს, თუ ვინ სად, რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო ქრისტიანობის საქადაგებლად. ივერია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი გარდაცვალება მოახლოებული იყო, მაცხოვრის გამოცხადებით ეუწყა, რომ თავად არ დაეტოვებინა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, ხოლო ივერიაში საქადაგებლად წმ. ანდრია მოციქული წარეგზავნა.

„რქუა ყოვლად-წმიდამან მოციქულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქვეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო გამგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნეს მათ“. მაშინ ყოვლად-წმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვსსა და გამოისახა ხატი ესევითარი... რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს... აწყურისა ღვთისმშობლისა და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და ჰრქუა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“. (ქართლის ცხოვრება, ტ I გვ. 38).

წმ. ანდრია პირველწოდებული სახარებას ქადაგებდა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში, მან მოვლო მცირე აზია, თრაკია, მაკედონია. მესამე სამისიონერო მოგზაურობის დროს ოსეთის მთებამდე მიაღწია, შემდეგ კი მდინარე დნეპრამდეც ავიდა, იმ ადგილამდე, სადაც შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს დედაქალაქი აღმოცენდა. აქ მას ჯვარი აღუმართავს. წმიდა ანდრიას ნოვგოროდამდეც მიუღწევია. წმ. მოციქულმა სახარება უქადაგა სკვითებსა და მდინარე დუნაის ნაპირებზე მცხოვრებ წარმართებს. თავისი დაუცხრომელი მოღვაწეობის ჟამს წმ. ანდრია მოციქულმა არაერთ ადამიანს დაასხა ხელი ხუცესად თუ ეპისკოპოსად. მის ცხოვრებაში უწყებულია, თუ სხვა მოციქულებთან ერთად როგორ მახარებლობდა ის ასურეთის ანტიოქიაში, კაპადოკიასა და გალატიაში, პონტოს ქალაქ სინოპში, სადაც იგი მატათა მოციქულთან ერთად მივიდა. ჯერ კიდევ IX საუკუნეში სინოპში მიანიშნებდნენ მის კათედრაზე, რომელიც შავი ქვებისგან ყოფილა გაკეთებული. პონტოს ნაპირებიდან წმ. ანდრია საბერძნეთში წასულა და ქალაქ პატრში შეჩერებულა. უაღრესად ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა, იგი დაუღალავად ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას და მრავალი ქალაქი და დაბა მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

„ხოლო სრბა ქადაგებისა მისისა დაუცხრომელი იყო, რამეთუ მადლი სულისა წმიდისა განაძლიერებდა მას და მიმოვიდოდა ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდა სიტყუასა მას ღმრთისმეცნიერებისასა, მოიწია უკუე ქალაქად ტრაპეზუნთად, რომელი იგი შენ არს სოფელსა მეგრელთასა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკვდართა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, ვინაცა იგი დაჰყო ჟამი ფრიადი და მრავალნი განანათლა სიტყუითა მოძღურებისა მისისათა და შეწირნა უფლისა ნათლისღებითა“ (საქ. სამოთხე, გვ. 30).

წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მიმოსვლის და ქადაგების შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს, რომელთა შესახებ საუბარი ჩვენ ძალზე შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ცნობას დავეყრდნობით, რომელიც შემდეგს გვაუწყებს:

ანდრია მოციქული პირველად ქალაქ ტრაპეზონში მოვიდა, რომელიც მეგრელთა ქვეყანაშია, აქ მცირე ჟამი დაჰყო, აქედან შევიდა ქართლის ქვეყანაში, რომელსაც დიდ-აჭარა ეწოდება. დაიწყო სახარების ქადაგება. მრავალი ჭირი და განსაცდელი მოითმინა ურწმუნოებისაგან. ღვთისა და წმიდა ხატის შეწევნით ყოველივე მადლობით მოითმინა, სანამ ყველა არ მოაქცია და მორწმუნედ გახადა. იმ ადგილას, სადაც ყოვლადწმიდას ხატი დაასვენა, გამოჩქეფა ფრიად დიდმა და მშვენიერმა წყარომ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც დღესაც შეუწყვეტლად ამოდის. შემოიკრიბნენ მის გარშემო იმ ქვეყნის მკვიდრნი და ნათელი სცა ყველას სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

დაუდგინა იქაურ ქართველებს მღვდლები და დიაკვნები. დაუდო წესი და საზღვარი სარწმუნოებისა. მათ ააშენეს ღვთისმშობლის სახელზე ეკლესია. ამ ეკლესიაში მოციქულმა დაასვენა ღვთისმშობლის ხატის პირი, რომელიც დღემდე იქვეა.

წამოვიდა ანდრია მოციქული, გადმოვლო მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდება თვით ნეტარ ანდრიას მიერ არის აღმართული. მოციქულმა ჩაიარა ოძრახის ხევი, მივიდა სამცხის საზღვართან და დაივანა სოფელ ზადენ-გორაში. აქ კერპთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ, ილოცა ხატის მიმართ და კერპები დაემხვნენ. წმიდა მოციქული გაემართა და მივიდა სოფელ აწყვერში., რომელსაც პირველად სოსანგეთი ეწოდებოდა, ხოლო მის პირდაპირ მდებარე ადგილს – საქრისი.

მაშინ მთვარაი იყო ერთი ქვრივი დედაკაცი – სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი, მისი იმედი იმჟამად მოკვდომოდა. იდგა ტირილი, ვაება და გლოვა.

იმ ღამეს ციხიდან იხილეს დიდი ნათელი ღვთისმშობლის ხატისა. გამთენიის ჟამს ანდრიას მიუგზავნეს კაცი ვინაობის გასაგებად. მისი პასუხი აუწყეს მთვარაის – ქვრივ დედაკაცს: „არიან უცხო კაცები, ქადაგებენ ჩვენთვის უცნობ ღმერთს ქვეყნის შემოქმედად, დამბადებლად, ადამიანთათვის სიცოცხლის მიმნიჭებლად და მკვდართა აღმდგენელად. ჰყავთ მათ მშვენიერი ხატი, რომელსაც პატივს სცემენ“. როცა ქვრივს მოესმა სიტყვა მკვდართა აღდგომის შესახებ, გაუკვირდა და მცირედ ნუგეში მიეცა. მოუხმო მოციქულს და გამოჰკითხა. მიუგო წმიდა მოციქულმა „მოვედი წმიდა ქალაქ იერუსალიმიდან, სადაც უფალს ფეხი დაუდგამს – გოლგოთასა და ცათა მსგავს ბეთლემიდან, ვარ მოციქული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც წამისყოფით აღადგენს მკვდრებს. მას იქადაგებენ ღმერთად, უფლად და ყოველი დაბადებულის მპყრობელად, ვინც ირწმუნებს მას და ნათელს იღებს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ყოველივე, რასაც ითხოვს სარწმუნოებით, მიეცემა მას და ყოველი სენისაგან განიკურნება.“

ეს რომ მოესმა დედაკაცს,დავარდა მიწაზე და ცრემლით უთხრა მოციქულს: „შეიწყალე ჩემი სიქვრივე და უბედურება, რადგანაც ემსახურები მკვდრების აღმადგენელს, ილოცე შენი ღმერთის მიმართ და მიანიჭე ჩემს შვილს სიცოცხლე. ყოველივეს, რასაც მიბრძანებ, შეგისმენ და ურჩობას არ გაგიწევ, თუ ჩემს ვაჟს ცოცხალს ვიხილავ, რამეთუ მხოლოდ ეს მყავს სხვა არა“.

წმიდა მოციქულმა მიუგო: „თუ ირწმუნებ იესო ქრისტეს, ძეს ღმრთისას, ჭეშმარიტ ღმერთს, რომელიც ჩვენს მიერ იქადაგება, რაც არ უნდა ითხოვო სარწმუნოებით, ყოველივე მოგეცემა მის მიერ.“

დედაკაცი ამის მოსმენამ სიხარულით აღავსო და ცრემლით უთხრა მოციქულს: „ჰოი ჭეშმარიტო ღვთისმსახურო, ჭეშმარიტად მწამს და ვაღიარებ იესო ქრისტეს, რომელსაც შენ ქადაგებ, შეეწიე ურწმუნოებასა ჩემსა.“

მოციქულმა იქიდან გააყვანინა ხალხი და მგოსნები და არავინ დატოვა ქვრივისა და თავისი კაცების გარდა, აიღო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, დაასვენა საწოლზე, სადაც ყრმა იდო. დაიწყო ლოცვა და ვედრება ღვთის მიმართ ხელაპყრობით. ლოცვის შემდეგ მოკიდა ხელი ყრმას, როგორც ძილისგან, ისე წამოაყენა და მისცა დედამისს. როცა სხვებმა ნახეს ეს სასწაული, ძალიან გაუკვირდათ.

როცა დედაკაცმა იხილა თავისი გაცოცხლებული ვაჟი, სიხარულით წამოდგა, დავარდა მოციქულის ფეხებთან, ცრემლით თაყვანი სცა და მადლი შესწირა. იწამა უფალი იესო ქრისტე. მოინათლა ეს დედაკაცი თავის ვაჟთან და თავის სახლეულთან ერთად. სასწრაფოდ მისწერა სამცხის მთავრებს: „მე ქვრივი, გახარებთ თქვენ დიდ სიხარულს მთელი ხალხისა: მოვიდა ჩვენთან ერთი კაცი უცხო ქვეყნიდან, რომელიც უცხო ღმერთს ქადაგებს, და ჰყავს მას ხატი ზეცისა, რომელმაც ჩემი მკვდარი ვაჟი გააცოცხლა. სწრაფად მოდით, რათა წესი და რჯული ავირჩიოთ და ვცნოთ, თუ რომელია უმჯობესი.“

როცა მესხებმა ეს საკვირველი ამბავი ისმინეს, სწრაფად შეიკრიბნენ ყოველი კუთხიდან და შეიქმნა ფრიად დიდი სიმრავლე ხალხისა ისე, რომ აივსო საქრისის ველი, გაუკვირდა ყველას, როცა იხილეს ქვრივის მკვდრეთით აღდგომილი ძე.

ქალაქში იყო საკერპო ბომონი, რომელშიც ემსახურებოდნენ ბილწ კერპებს, არტემიდასა და აპოლონს. ამ საქმის მნახველი სიცრუის მღვდლები /ქურუმები კერპებისა/ აღივსნენ შურით და წინააღმდეგობა გაუწიეს მოციქულს. ღვთისმშობლის ხატის სასწაულით, ღვთის ნებით, დაილეწა კერპები. კერპთა მღვდლები სირცხვილით აღივსნენ და შენდობა სთხოვეს მოციქულს. მთელმა ხალხმა მადლობის ხმა აღმოუტევა და თქვეს: „დიდია ქრისტიანთა ღმერთი, რომელსაც მოციქული ანდრია ქადაგებს.“ და ყველამ ირწმუნა ჩვენი უფალი იესო ქრისტე და სიხარულით მოინათლნენ ყველანი სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.

მოციქულმა ასწავლა მათ ყოველი წესი რჯულისა და სარწმუნოებისა. დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები. დიდი თხოვნის შემდეგ დაუტოვა მესხებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დაასვენეს აწყვერის მცირე ეკვდერში რომელსაც ახლა ძველი ეკლესია ეწოდება.

მოციქული ანდრია გაემართა საქართველოს სხვა კუთხეებში საქადაგებლად. ადერკი მეფემ როცა გაიგო მეგრელებისაგან რჯულის დატოვება, გაუწყრა მათ, გაგზავნა იქ თავისი ერისთავები და იძულებით კვლავ წარმართობას დაუბრუნა მეგრელები. დამალეს ხატები და ჯვრები. შერისხა ადერკი მეფემ კლარჯეთის ერისთავი ანდრია მოციქულის მშვიდობით განტევებისათვის.

ანდრია მოციქულმა მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, ქადაგებით ჩავიდა ტაოში, მდინარე ჭოროხამდე, მოვლო ამ მხარის ყოველი კუთხე. აქედან ისინი გაემგზავრნენ შიდა საქართველოში და მიაღწიეს სვანეთს.

სვანეთში მთავრად იჯდა დედეკაცი, რომელმაც ირწმუნა მოციქულთა ქადაგება, მოციქული მატათა სხვა მოწაფეებთან ერთად დარჩა ამ მხარეში, ხოლო ანდრია მოციქული, სვიმონ კანანელთან ერთად გაემგზავრა ოსეთში, მივიდნენ ქალაქ ფოსტაფორში, სადაც სასწაული ჰქმნეს და მრავალი მოაქციეს და განანათლეს, აქედან ისინი შევიდნენ აფხაზეთში და სებასტოპოლში მივიდნენ, რომელსაც ცხუმი ეწოდება. იქადაგეს ღვთის სიტყვა და მრავალი მოაქციეს. აქ ნეტარმა ანდრიამ დატოვა სვიმონ კანანელი სხვა მოწაფეებთან ერთად და თავად ჯიქეთში მივიდა, აქ მისი არ შეისმინეს, დატოვა ეს მხარე და წავიდა.

ხოლო სვიმონ კანანელის საფლავი არის ნიკოფს ქალაქში, რომელიც არის აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის, რადგანაც იქ აღესრულა სვიმონ კანენელი.“

ვინაიდან წმ. ანდრია პირველ წოდებულის ცხოვრება გამოცემულია და ყველასათვის ხელმისაწვდომია, ჩვენ ყურადღებას აღარ ვამახვილებთ მის მიერ აღსრულებულ სასწაულებზე, რაც უდიდეს ზეგავლენას ახდენდა წარმართებზე. ყურადღებას არ ვამახვილებთ მის მიერ მოქცეული ქვეყნების, ქალაქებისა და სოფლების სრულ აღწერილობაზე, რომელთა რიცხვი ძალიან დიდია. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ წარმართთაგან დევნილს, ნაგვემსა და შეურაცხყოფილს როგორ ეცხადებოდა ჯვარცმული და აღდგომილი მაცხოვარი, რომელიც ახალ-ახალი ქვეყნებისა და ქალაქების მოსაქცევად იწვევდა წმიდა მოციქულს. ერთ-ერთი ასეთი გამოცხადების შედეგად იგი ბითვინიაშიც ჩავიდა: „წარვედ. მოსწრაფედ სოფელთა ბითვინიისათა და ნუ გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ ვინაიცა ხვიდოდე, რამეთუ ქუეყანაცა გუთისა მოგელის შენ.“ ამგვარი იყო უფლის მოწოდება, რომელსაც შეუორგულებლად მორჩილებდა მოციქული.

ამგვარივე გამოცხადების შედეგად წმიდა მოციქული ჩავიდა ქალაქ პატრაში, სადაც ეგეატი მთავრობდა: ანთვიპატი ეგეატი კერპთმსახური იყო. როდესაც მაქსიმილამ, მისმა მეუღლემ უფლის მოწაფისა და მოციქულის მიერ აღსრულებულ სასწაულთა შესახებ შეიტყო, მაშინვე თავისი სარწმუნო მხევალი იფიდიმა, დედაკაცი ბრძენი და გონიერი გაგზავნა სოსიოსის სახლში დავანებულ მოციქულთან. წმიდა ანდრიას მიერ განათლებულმა მოსამსახურემ ყოველივე თავის დედოფალს აუწყა. მცირე ხნის შემდეგ მაქსიმილა მძიმედ დასნეულდა, ვერავინ შესძლო მისი განკურნება. სასიკვდილოდ განწირულმა წმიდა მოციქულს უხმო, რომელმაც სასწაულებრივად განკურნა დედოფალი. ამ კურნებამ მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს რჯულზე, მრავალი ადამიანი მოინათლა. წმიდა ანდრიას ქადაგების შედეგად ქალაქის მაცხოვრებლები ქრისტეს ჭეშმარიტი ნათლით განათლდნენ. მოციქულმა სტრატოკლეოსს, მაქსიმილას ძმას მღვდელთმთავრად დაასხა ხელი, რადგან ბრძენი და სიწმიდის მოყვარე კაცი იყო, სხვები ხუცესად და დიაკვნებად აკურთხა, რომელთაც ღვთის შიშითა და კრძალულებით ჟამის წირვა დაუწესა.

ქრისტეს ნათელმა იძალა ქალაქ პატარში, რასაც ვერაფრით ვერ ეგუებოდა ქალაქის წარმართი გამგებელი. უმეცრების წყვდიადში მყოფ მთავარს ეგონა, რომ წმიდა მოციქულის ჯვარცმით თავად მაცხოვრის მოძღვრებასაც დაამარცხებდა და მისი სიკვდილი განაჩინა. უფლის სარწმუნო მსახური სიხარულით შეხვდა მტარვალის ბრძანებას. თითქოს ჯვრის აჩრდილი ჩამოწვა ქალაქის თავზე. ნეტარმა მოციქულმა შორიდანვე იხილა მის საწამებლად აღმართული ხის დიდი ჯვარი, რომელზე გაკრულსაც საშინელი სატანჯველი უნდა დაეთმინა. სიკვდილის წინ წმიდა ანდრიამ ხოტბა შეასხა ჯვარს: „გიხაროდენ ჯუარო შუენიერო, ძელო ცხოვრებისაო, რომელი ქუეყანასა ზედა დაენერგე და ნაყოფი შენი ცათა შინა დაუნჯებულ არს, გიხაროდენ ჯუარო დიდებულო, ტკბილო სახელითაცა და საქმითაცა, გიხაროდენ ჯუარო თაყვანისცემაცემელო, რომელმან იტვირთე მეუფე ჩუენი, გიხაროდენ ჯუარო ყოვლად ქებულო და დიდად სასურველო, რათა შენ მიერ ცხოველ ვიქმნა და თანანადებნი ჩემი სიკვდილი კეთილად და რჩეულად აღვასრულო.“

ეგეატ მთავრის ბრძანებით, მოციქული ლურსმნებით როდი შემსჭვალეს ჯვარზე, არამედ თოკით, რათა დიდხანს ეტანჯა, ხოლო მან, ქრისტეს ვნებათა მიმბაძველმა კვლავ გარსშემოკრებილი ხალხის დამოძღვრა იწყო: „ნუ შეშინდებით სიკვდილისაგან, არამედ გეშინოდეთ ცოდვისა, რადგან ყველა ვინც ამქვეყნად ღვთისმოშიებით იღვაწებს კეთილად, საუკუნო ნეტარებას დაიმკვიდრებს, როგორც ეს საუფლო ბაგეთა მიერ არის აღთქმული, ხოლო ისინი, რომლებიც ნებით მიეცემიან ცოდვის მონობას, მარადიულ სატანჯველს დაექვემდებარებიან. გევედრებით, ძმანო, შეიტკბეთ ყოვლადწმიდა სამების რწმენა და დაიცავით უფლის მცნებები, რათა მიემთხვიოთ დაუსრულებელ ნეტარებას.“

ასე შეიწირა ქრისტეს ერთერთი რჩეული მხედარი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის გაწირვით ცხადყო მაცხოვრისეული მოძღვრების ჭეშმარიტება. უკეთურებისადმი შეურიგებელი მოღვაწის საშინელი სატანჯველის ახოვანებით დათმენამ მრავალ ადამიანს შეაცნობინა ჭეშმარიტი სარწმუნოების ძალა და მადლი.

ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ეკიდა ჯვარზე უფლის მხნე მოწამე. მოსახლეობის აჯანყების შიშით შეპყრობილმა მთავრმა ბრძანა, შეეწყვიტათ მისი დასჯა და ჯვარიდან ჩამოეხსნათ იგი, მაგრამ წმიდა ანდრია მოწამეობრივ აღსასრულს დაეშურა და მხურვალე ლოცვით შესთხოვა უფალს, რათა ღირსი გაეხადა ამგვარი აღსასრულისა, რაც მიემადლა კიდეც წმიდა მოწამეს. უფლისათვის მადლობის შემწირველმა დიდმა მოღვაწემ თვალები ზეცას მიაპყრო, აკურთხა მის გარშემო შეკრებილი მორწმუნენი და ასე შეავედრა თავისი წმიდა და გაბრწყინებული სული ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. მაშინ ღვთაებრივი ნათლის დიდი ბრწყინვალება დაადგა ჯვარს და მასზე გაკრულ მოწამეს. როცა ბრწყინვალება განქარდა, წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს უკვე უფლისათვის მიებარებინა სული.

მისი აღსრულებიდან სამი საუკუნის შემდგომ, კონსტანტინე დიდის იმპერატორობის ჟამს წმიდა ანდრია მოციქულის წმიდა ნაწილები პატრადან კონსტანტინეპოლში გადაასვენეს და წმიდა ლუკა მახარებლისა და პავლე მოციქულის მოწაფის – ტიმოთეს წმიდა ნაწილებთან ერთად დაასვენეს მოციქულთა სახელობის ტაძარში.

მისი ხსენების დღეს იგალობება მისდამი მიძღვნილი ის ძირითადი ლოცვა, რომელსაც ტროპარი ჰქვია: „ვითარცა მოციქულთა უპირატეს წოდებული და ძმა უაღრესისა მათისა მეუფესა ყოველთასა ევედრე, ანდრია, რათა სოფელსა მშვიდობა მოანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ბევრი ქვა ესროლეს... ეს ქვები კვარცხლბეკად გადაექცა.

შალვა ნუცუბიძე იმ ადამიანთაგანია, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული ჰუმანიტარული აზრის ისტორიაში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – მისი ცხოვრების არც ერთი თარიღი რაიმე ფორმით არ აღნიშნულა. როდესაც დაბადებიდან 80 წლის იუბილეს გამართავ გადაწყვიტეს, მან თქვა: ჩემს საიუბილეო გამოსვლაში მე ზოგი იუბილარივით არ განვაცხადებ, – ყველა პირობა მქონდა, ყველაფერი გამიკეთეს და არაფერი დამაკლესო. მე ვიტყვი – ყველაფერი გამიკეთეს, მაგრამ ვერაფერი დამაკლესო. გასაგებია, რომ იუბილე არ შედგა...

გამოხდა ხანი და აი, შესრულდა მისი დაბადებიდან 110 წელი. შალვა ნუცუბიძე უკვე ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს დღევანდელობისთვის, უწინარესად ახალი თაობის ზნეობრივი, ინტელექტუალური

შალვა ნუცუბიძე და მისი მეუღლე ქეთევან ნუცუბიძე

აღზრდისთვის. როდესაც ასეთ პიროვნებებს ვიხსენებთ, თანამედროვეებს მოვაგონებთ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ეპოქის უმძიმეს ეტაპზეც თავდადებით და უანგაროდ ემსახურებიან მეცნიერებასა და ქვეყანას.

შალვა ნუცუბიძეს თავისი ცხოვრების რთულ გზაზე დღენიადაგ მხარში ედგა უკეთილშობილესი თანამგზავრი – მისი ჭირ-ვარამის მოზიარე, ერთგული მეუღლე და თანამოაზრე ქალბატონი ქეთევანი. მადლობას ვუხდით მას წინამდებარე წერილის მოწოდებისათვის. წერილი, როგორც თავად მკითხველი დარწმუნდება, ნათელს ჰფენს დიდი მეცნიერის მოღვაწეობის შედარებით ნაკლებად შესწავლილ პერიოდს.

სამწუხაროდ, ქალბატონი ქეთევანი დღეს ჩვენს გვერდით აღარაა. მისი სული სწორედ იმ დღეს შეუერთდა ძვირფასი მეუღლის სულს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შალვა ნუცუბიძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა იმართებოდა. – ეს იყო 1998 წლის 15 დეკემბერს, ხოლო 14 დეკემბერს ქალბატონმა ქეთევან ნუცუბიძემ დაწერა ბარათი, 15 დეკემბერს კი მისმა შვილიშვილმა, ნიჭიერმა ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნემ – ქეთი ნუცუბიძემ ეს ბარათი იუბილეზე დამსწრე საზოგადოებრიობას ბებიას მაგიერ წაუკითხა, რამაც ალბათ კიდევ უფრო აზეიმა ბატონ შალვა ნუცუბიძისა და ქალბატონ ქეთევან ნუცუბიძის ცაში შეერთებული სულები.

* * *

შალვა ნუცუბიძე – ფილოსოფოსი, ორიგინალური ფილოსოფიური ნააზრევის – ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციის შემქმნელი, ქართული კულტურის მრავალმხრივი მკვლევარი, აღმოსავლური რენესანსის იდეის ავტორი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, იმდროინდელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მხურვალე ტრიბუნი, მგზნებარე მჭევრმეტყველი, კომუნისტური ხელისუფლების მიერ მრავალგზის შერისხული, მაგრამ მუდამ ქედუხრელი და შემართული.

შალვა ნუცუბიძე – სულით ძლიერი პიროვნება, რომელსაც არასოდეს ტოვებდა საკუთარი ღირსების შეგნება.

1950 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოცემულ ფილოსოფოსთა ლექსიკონის მეორე ტომში ვკითხულობთ:

„ნუცუბიძე შალვა დაიბადა 14 დეკემბერს, 1888 წელს ფარცხანაყანევში (საქართველო). პრომოცია 1913, ჰაბილიტაცია პეტერბურგში, ექსტრაორდინალური პროფესორი თბილისში 1920 წ; პროფესორი იქვე 1926 წ. დროებით – ჰაიდელბერგში. პირველი შრომის დაწყებიდანვე ნუცუბიძე ცდილობს დაასაბუთოს პირველი ფილოსოფიური დისციპლინა, რომელსაც იგი ალეთოლოგიას უწოდებს...“

შემდეგ დამოწმებულია ნუცუბიძის წიგნები, თუმცა აშკარად ჩანს, რომ ლექსიკონთა შემდგენელთათვის უცნობია მისი ბედი 1930-იანი წლების შემდეგ.

შალვა ნუცუბიძე 1930 წლამდე ხშირად მიემგზავრებოდა გერმანიაში, განსაკუთრებით – სტუდენტობისას. 1913 წელს 23 წლისამ ლაიფციგის უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება ალეთოლოგიის პრინციპების შესახებ.

1926 წ. მან გერმანიაში გამოაქვეყნა წიგნი „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ ლიბერტისა და ბუხენაუს რეცენზიით, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი თვალსაზრისის, კერძოდ, „ალეთოლოგიური რეალიზმის“ დასაბუთებას.

1931 წელს ისევ გერმანიაში გამოაქვეყნა წიგნი „ფილოსოფია და სიბრძნე“, რომელშიც უფრო დეტალურადაა მოხაზული ალეთოლოგიის სფერო. ამის მეშვეობით ხდებოდა „ჭეშმარიტების თავისთავად“ შეთანხმება „ჭეშმარიტებასთან ჩვენთვის“. ეს პრობლემატიკა აქტუალური იყო დასავლეთის ფილოსოფიაში. ამ წიგნებს ფართოდ გამოეხმაურნენ და დიდად შეაფასეს გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. თავის რეცენზიაში ამ წიგნზე გერმანელი ფილოსოფოსი ბრუნო ბაუხი აღნიშნავდა შ. ნუცუბიძის „აზრის მთელ სიმახვილეს, ძალიან მნიშვნელოვან სიახლეს...“

განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ნაშრომს კურტ ჰასენი. რეცენზენტი თვლის, რომ „მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანული ფილოსოფიური აზრის შემდგომი განვითარებისთვის. ამ ნაშრომს გვერდს ვერ აუვლის შემეცნების თეორიის ვერც ერთი თანამედროვე მკვლევარი...“

ერთ-ერთ ინგლისურ ფილოსოფიურ ჟურნალში აღნიშნული იყო, რომ „ნუცუბიძემ გაწმინდა ფილოსოფია სპეკულატიური და ინტუიციური ნაწილაკებისაგან და დაგვანახა სიბრძნის გზა. ამით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ფილოსოფიის უაღრესად დახლართული პრობლემების მარტივი გადაწყვეტის მიმართულებით“.

ცნობილმა ესპანელმა ფილოსოფოსმა ორტეგა ი გასეტმა ფილოსოფოსთა შეკრებაზე, რომელსაც ანრი ბერგსონი თავმჯდომარეობდა, განაცხადა, რომ იგი მიმდევარია პატარა საქართველოს დიდი მოაზროვნისა და ყველა მოაზროვნის სამუშაო მაგიდაზე მისი წიგნი უნდა იდოსო.

შალვა ნუცუბიძეს გერმანიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს სტატიები: „კანტი კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში“, „შპენგლერი, როგორც ევროპული აზროვნების კრიზისის მაჩვენებელი“, „შპენგლერიდან კაიზერლინგამდე“, „გოეთე, როგორც მოაზროვნე და ხელოვანი“.

კონსტანტინე გამსახურდია და შალვა ნუცუბიძე

მე პირველად შალვა ნუცუბიძე ვნახე ჯერ კიდევ მოწაფეობისას რუსთაველის თეატრში „ინ ტირანოსის“ გარჩევისას. მისი ხმა, მისი სიტყვა განუზომლად შთამბეჭდავი იყო! შილერი ჩემს მეხსიერებაში უპირველესად „შტურმ უნდ დრანგის“ დროინდელ ახალგაზრდას წარმოადგენდა და „შტურმ უნდ დრანგიც“ თავისთავად მუდამ შალვა ნუცუბიძეს ნიშნავდა ჩემთვის.

1930 წ. შალვა ნუცუბიძე გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა ქართული ხელოვნების ძეგლების გამოფენასთან დაკავშირებით.

რაინის ნაპირას ერთმანეთს შეხვდა ძველი ქართული და დასავლეთევროპული კულტურა.

ამ მოგზაურობამ შალვა ნუცუბიძე მრავალ მეცნიერთან დააახლოვა, მათ შორის იყო გამოჩენილი ბიოფსიქოლოგი ოსკარ ფოხტი.

– როგორ მიხვედით აზროვნებამდე? – ჰკითხა ოსკარ ფოხტმა ერთ საღამოს მასთან სტუმრობისას. ჩემთვის საინტერესოა ვიცოდე, ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები?

– ჩემი პაპები სასულიერო პირები იყვნენ, ხოლო მამაჩემი სახალხო მასწავლებელი.

აქ ფოხტმა შეაწყვეტინა:

– თქვენმა პირველმა ფრაზამ მიიპყრო ჩემი ყურადღება და თქვენდა სასარგებლოდ განაწყო მთელი აუდიტორია: „ათას ხუთასი წლის განმავლობაში ხმლითა და ჯვრით იდგა საქართველო აღმოსავლეთის მიჯნაზე მოხდვავებულ დამპყრობთა წინააღმდეგ და სხვებთან ერთად თქვენს, დასავლეთის კულტურას იცავდა“. ეს ფრაზა შთაგონებულია იმ სასულიერო მოღვაწეებით, რომელთა სისხლი თქვენში ამეტყველდა.

გერმანული ენის გარდა ნუცუბიძე სრულფასოვნად ფლობდა ფრანგულს, ინგლისურს, იტალიურს, ძველ ბერძნულსა და ლათინურს.

შალვა ნუცუბიძე დიდი იმედებით და სამომავლო გეგმებით დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ აქ შემაძრწუნებელ გულცივობას წააწყდა. მიმდინარეობდა მორიგი პოლიტიკური წმენდა... დანაშაულად საკმარისი იყო უცხო ენის ცოდნაც კი და მით უფრო, უცხოეთში ყოფნა. ქვეყანა ღრმად შედიოდა იმ ხანაში, როდესაც დამოუკიდებელი აზროვნება, პატრიოტიზმი, ავტორიტეტიც კი ეჭვის, უნდობლობის საბაბი ხდებოდა.

გულგაუტეხელი იყო ნუცუბიძე და ჩვეული შემართებით გერმანიაში მიღებული შთაბეჭდილებების, ნანახისა და გაგონილის გონებამახვილური გადმოცემით მსმენელთა ყურადღებას იპყრობდა და დაძაბულ ვითარებას თავის ბრწყინვალე იმუორით ამსუბუქებდა.

ერთხელ ასეთი საუბრისას მასთან ახლოს იდგა განათლების მინისტრი, რომელსაც არავინ აქცევდა ყურადღებას. ერთმა ახლადმოსულმა შორიდან დაიძახა:

– როგორა ხართ, ბატონო შალვა?

– მეხივით, მეხივით. – ხელაწევით უპასუხა შალვამ.

– გამოიწით, თავში არ დაგვეცესო, – იხუმრა მინისტრმა.

– ნუ გეშინიათ, მეხი ცარიელ ადგილს არ ეცემა, – მიახალა ნუცუბიძემ.

შალვა ნუცუბიძე და გიორგი ჩუბინაშვილი

საზოგადოება აღაფრთოვანა მისმა პასუხმა, მაგრამ მინისტრი ის ცარიელი ადგილი იყო, რომელსაც თავად შეეძლო მეხად ქცეულიყო, მას ეხებოდა საზღვარგარეთ მივლინების საქმეები. ნუცუბიძეს უარი ეთქვა საზღვარგარეთ მივლინებაზე, აეკრძალა თანამედროვე ფილოსოფიურ საკითხებზე მუშაობა, ლექციების კითხვა.

ამ პერიოდში დაიკარგა დასაბეჭდად წარდგენილი მისი ნაშრომები: „თანამედროვე ფილოსოფიის კრიტიკული განხილვა“, „ნეოკანტიანიზმი გერმანიაში“, „კანტი და თანამედროვე ფრანგული ფილოსოფია“, „ფილოსოფიის გზები აღმოსავლეთში“, ცელერის „ბერძენთა ფილოსოფიის“ თარგმანი.

1937 წელს ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს გერმანულ ენაზე გამოცემული ნუცუბიძის წიგნები.

ერთ დღეს კი თავად დაიბარეს ჩეკაში და უთხრეს:

– ჩვენ გვჭირდება შენისთანა ადამიანი, რომელსაც ყველა უჯერებს და ენდობა. შენ, რომელმაც სამი ხელისუფლება გამოიცვალე, ყოველთვის ოპოზიციაში იყავი, არ შეიძლება არ იცოდე, ვინ არიან ჩვენი მტრები.

– მე პოლიტიკას დიდი ხანია თავი დავანებე და მეცნიერების მეტი აღარაფერი მაინტერესებს, – უპასუხა.

– რამდენიმე დღეს მოგცემთ მოსაფიქრებლად, – გააფრთხილეს.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ნუცუბიძეს არც კი უფიქრია მათ წინადადებაზე. ამ დროს იგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანით იყო გატაცებული.

ერთ ღამეს დააპატიმრეს კიდეც, ხოლო მისი ბინა სხვას გადასცეს.

ქაღალდის ნაკლებობა იყო და შალვა ნუცუბიძის ბინის ახალმა მფლობელებმა მის წიგნებს საპირფარეშოში მიუჩინეს ადგილი.

მალე თბილისის საპატიმროდან გადაიყვანეს მოსკოვში (ლუბიანკაზე).

სტალინი დაინტერესებულა შალვა ნუცუბიძის ბედით და უკითხია: დაპატიმრებამდე რას აკეთებდაო?

– „ვეფხისტყაოსანს“ რუსულად თარგმნიდაო, – უპასუხეს.

– შეუქმენით პირობები, რომ თარგმანი რაც შეიძლება მალე დაამთავროსო, – უთქვამს სტალინს.

მართლაც, ყველა პირობა შეუქმნეს თარგმანზე სამუშაოდ. დროდადრო სადღაც მიჰქონდათ მონაკვეთები.

დამთავრებისთანავე მოვიდა სტალინის განკარგულება მისი განთავისუფლების შესახებ. მხოლოდ არ ჰქონდა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა. მისცეს ბინა სოკოლნიკში, ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედთა დასახლების უბანში (მატროსკაია ტიშინა, 5).

1940 წლის ოქტომბერში ნუცუბიძე სტალინმა მიიწვია კრემლში. სტალინს ხელში ეკავა „ვეფხისტყაოსნის“ სასიგნალო ეგზემპლარი. თურმე სტალინი ყოფილა მისი რედაქტორი, რისი გამხელაც საზოგადოებრიობისთვის არ სურდა. მან ნუცუბიძეს თარგმანი შეუქო. შემდეგ ამოიღო უბის წიგნაკი და დასძინა:

– მეც ვთარგმნე ერთი სტროფი, თუ მოგეწონება, მიჩუქნია. „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეულ თარგმანში სტალინის მიერ თარგმნილი სტროფი შესულია.

1941 წელს, როდესაც გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, შალვა ნუცუბიძეს ნება დართეს დაბრუნებულიყო სამშობლოში.

იგი იწყებს მუშაობას ძველი ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის საკითხებზე. აქვეყნებს შრომებს ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციის შესახებ. „აღმოსავლეთის რენესანსს“, ქართული ფილოსოფიის ორტომეულს და სხვა. მაგრამ ყველაფერი, რაზედაც მუშაობდა შალვა ნუცუბიძე, დასაგმობი და გასაკიცხი ხდებოდა. 1948 წელს მარქსიზმის უგულებელყოფისა და იდეალიზმის ბრალდებით ფილოსოფიის ინსტიტუტიდან გარიცხეს, როგორც „გამოუსწორებელი იდეალისტი“.

1955 წელს ბელგიელმა მეცნიერმა აკად. ე. ჰონიგმანმა დაადასტურა თავისი დამოუკიდებელი გამოკვლევებით, არეოპაგელისა და იბერის იდენტურობა. ამ „განსაცვიფრებელ აღმოჩენას“, როგორც 15-საუკუნოვანი საიდუმლოების გახსნას, აღფრთოვანებით გამოეხმაურა მრავალი სახელგანთქმული მეცნიერი. დაირხა ხმები „ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიისათვის“ ნობელის პრემიაზე წარდგენის შესახებ, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა ე. ჰონიგმანი და ნუცუბიძის ხსენებაც კი აკრძალეს, ვინაიდან 1953 წელს იგი უნივერსიტეტიდან და მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან გამოყვანილი იყო პოლიტიკური ბრალდებებით, როგორც „გერმანიის ფაშიზმის აგენტი“. როგორ გადარჩა დაპატიმრებას, დღემდე გაუგებარია. შალვა ნუცუბიძე გაიძევეს უნივერსიტეტიდან, სიტყვით გამოსვლის საშუალებასაც არ აძლევდნენ იმის შიშით, – ვინ იცის, რას იტყვისო.

შარშანდელ გაზაფხულზე მომეცა საშუალება კეთილი ნების ადამიანების მეშვეობით გავმგზავრებულიყავი გერმანიაში ნუცუბიძის მემკვიდრეობის შესასწავლად, თან მქონდა ნუცუბიძის ორივე გერმანული წიგნი და ჩემი სტატია „ნუცუბიძე და გერმანული კულტურა“.

გერმანელი მეცნიერები დიდი გულისხმიერებით გაეცნენ ორივე ნაშრომს და ჩემს წერილს, რის საფუძველზეც დაწერეს სტატია, რომელიც იბეჭდება ზაარბრუკენის ჟურნალ „გეორგიაში“. ამასთან, მათ საჭიროდ მიიჩნიეს საგანგებოდ აღნიშნონ ნუცუბიძის დაბადების 110 წლისთავი 1998 წელს. სასიხარულო ისიც იყო, რომ ეს ორივე გერმანული წიგნი, რომლებიც დღეს ჩვენთან ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და არც ერთი ეგზემპლარი აღარ მოიპოვება საქართველოს არც ერთ ბიბლიოთეკაში, გერმანიის ყველა ქალაქის ბიბლიოთეკაშია დაცული.

თუ კიდევ მომეცა საშუალება, სურვილი მაქვს წავიდე ჰეგელის მშობლიურ ქალაქში, ჰაიდელბერგში, სადაც ნუცუბიძე მუშაობდა. იქ მოღვაწე ფილოსოფოსთა დღევანდელი შეფასებაც შალვა ნუცუბიძის ღვაწლისა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება ახალი თაობებისათვის. და თუ ამ სამეცნიერო კონტაქტებში ჩვენი ახალგაზრდა ფილოსოფოსებიც ჩაერთვებიან, ამით კიდევ უფრო განვითარდება გერმანელ-ქართველ ფილოსოფოსთა თანამშრომლობა.

ქეთევან ნუცუბიძე

არჩილ ჩიმაკაძე

ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი

არჩილ ჩიმაკაძე თვითმყოფი ფიგურაა თანამედროვე ქართულ მუსიკაში. მის ნაწარმოებებში ორგანულად და მხატვრული სრულყოფილებით გამოიხატა ქართული ეროვნული კულტურის ისეთი თვისებები, როგორიცაა ეპიკური სიდიადე, შინაგანი ჰარმონიულობა, კეთილშობილება, ფორმის პლასტიკურობა და ბრძნული ოპტიმიზმი.

არჩილ ივანეს ძე ჩიმაკაძე დაიბადა 1919 წელს. მუსიკალური განათლება მან თბილისის კონსერვატორიაში მიიღო, რომელიც 1946 წელს დამთავრა პროფ. ა ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით (მანამდე კი, 1940 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი). მომდევნო წლებში ა. ჩიმაკაძემ გაიარა ასპირანტურის კურსი მოსკოვის კონსერვატორიაში პროფ. ა. ალექსანდროვის ხელმღვანელობით (1948-1951). წლების მანძილზე ა. ჩიმაკაძე პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის II სამუსიკო სასწავლებელში, სადაც ასწავლიდა თეორიულ საგნებს და კომპოზიციას; იყო I სასწავლებლის დირექტორი, ხოლო შემდეგ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი (1963-1967); საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს მუსიკალურ გადაცემათა სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის კათედრის პროფესორი. კომპოზიტორს მინიჭებული აქვს სახალხო არტისტის წოდება.

ა. ჩიმაკაძის თვითმყოფი ნიჭი პირველად მთელი სისრულით გამოვლინდა ოთხნაწილიან კანტატაში „ქართლის გული" (სოპრანოს, გუნდისა და ორკესტრისათვის, ლიტერატურული ტექსტი მ. აბულაძისა), რომელიც 1952 წელს დაიწერა. ეს არის ეროვნული ვოკალურ-სიმფონიური ჟანრის ნათელი ნიმუში.

ნაწარმოების საუკეთესო რეკომენდაციად გამოდგება დ. შოსტაკოვიჩის სიტყვები კანტატის პირველი შესრულების შემდეგ: „ნიჭიერება პირდაპირ ჩქეფს ამ კანტატაში. მას ისმენ შეუნელებელი ინტერესით. გამომსახველი და კოლორიტული მელოდიები, მშვენიერი ჰარმონია, გუნდისა და ორკესტრის ორიგინალური და უნარიანი გამოყენება, ნაწარმოების ღრმა შინაარსიანობა და იდეურობა — ყოველივე ეს, ისევე, როგორც შინაარსისა და ფორმის ჰარმონიული ერთიანობა, ხიბლავს მსმენელს" („ზარია ვოსტოკა", 1952 წ. 30 ნოემბერი).

„ქართლის გული" გმირულ-ეპიკური ნაწარმოებია. იგი პატრიოტულ თემაზეა შექმნილი. მასში იშლება ქართველი ხალხის ისტორიის დრამატული სურათები (II-III ნაწილები) და ჩვენი თანამედროვეობის სახეები (I-IV ნაწილები), მკაცრი გმირული და ნათელი ლირიკული საწყისები კანტატაში სადღესასწაულო სახეებთანაა შერწყმული.

კანტატის I ნაწილი — „საქართველოს გაზაფხული" — საზეიმო ხასიათისაა და უმღერის საქართველოსა და მის დედაქალაქს — თბილისს. II ნაწილი — „ქართლის ბედი" — თავისებური გაშლილი დრამატული არიაა (სოპრანო), რომელიც მოგვითხრობს ქართველი ხალხის ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ. III ნაწილი — „ძველი ციხის გალავანთან" — აღადგენს შორეული ისტორიული წარსულის სახეებს. მუსიკა აქ მკაცრი, ტრაგიკულია, ფაქტურა — ქორალური. ჰიმნურ-საზეიმო ხასიათის IV ნაწილი — „გამარჯვების ფერხული" — ამთავრებს ნაწარმოებს.

მომდევნო წლებში ა. ჩიმაკაძე მუშაობს დრამატულ ორატორიაზე — „ვეფხისტყაოსანი". შესრულდა მისი ორი ნაწილი. წარმატება ხვდა ერთნაწილიან, ფორმით დასრულებულ „პროლოგს" (მკითხველის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის), რომლის ფილოსოფიურად ჩაღრმავებულ მუსიკაში კომპოზიტორი წარმოგვიჩენს გენიალური პოეტისა და მოაზროვნის სახეს. „ „პროლოგის" მუსიკის ეპიკური სიდიადე ორგანულადაა შერწყმული ლირიკულ და დრამატულ მომენტებთან.



შ. რუსთაველის საიუბილეო დღეებში შესრულდა აგრეთვე „თინათინის მეფედ კურთხევა" ამავე ორატორიიდან.

აღიარება მოიპოვეს ა. ჩიმაკაძის რომანსებმა, რომელთა შორის საუკეთესოა „ნანა" (ა. წერეთლის სიტყვებზე), „შენი დალალნი" (ნ. ბარათაშვილის სიტყვებზე), „ნინო ჭავჭავაძეს" (გ. ლეონიძის სიტყვებზე), აგრეთვე, მისმა ძალზე სახოვანმა მუსიკამ შ. რუსთაველისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრების სპექტაკლებისათვის („ბახტრიონი", „არაგველები", „მედეა", „ფიროსმანი" და სხვ.) ფართო პოპულარობა მოიპოვა მისმა დიდებულმა „ფიროსმანის სიმღერამ".

ბოლო წლების მნიშვნელოვან ნამუშევრად წარმოგვიდგება ჰეროიკული მუსიკალური კომედია „მაია წყნეთელი" (ვ. კანდელაკის პიესის მიხედვით), რომელიც დაიდგა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე (1986). პიესის გმირულ-პატრიოტულმა სიუჟეტმა საშუალება მისცა კომპოზიტორს ფართოდ წარმოესახა ხალხის ცხოვრების სურათები. მუსიკა მკაფიოდ გამოხატულ ქართულ ეროვნულ სასიმღერო ხასიათს ატარებს. მახვილგონივრულადაა გადაწყვეტილი პიესის კომიკურ-გროტესკული ეპიზოდები, რამაც განაპირობა ა. ჩიმაკაძის მუსიკალური კომედიის წარმატება.

გ. ტორაძე

არჩილ ჩიმაკაძის ხსოვნას

მხოლოდ ცხოვრების უჩვეულო და მოულოდნელ ზიგზაგებს შეუძლია შეახვედროს ერთმანეთს აბსოლუტური სმენისა და უმაღლესი მუსიკალური რეიტინგის კომპოზიტორი და ყოვლად უსმენო, ჯერ შედარებით ახალგაზრდა დრამატული თეატრის მსახიობი, რომელსაც მრავალრიცხოვან სუფრასთანაც კი, ხმათა სრული აღრევის დროს, სიმღერის ერიდება, გასუსული ზის და სხვების სიმღერით თუ ტკბება.

ეს 1960 წელს მოხდა რუსთაველის თეატრში. დოდო ალექსიძე „ბახტრიონს" დგამდა. ამ სპექტაკლით უნდა გახსნილიყო კრემლის თეატრში ჩვენი გასტროლები. სპექტაკლს დიდი გამარჯვება ეწერა და ქართული თეატრის საეტაპო სპექტაკლად მოიხსენიება თეატრის ისტორიაში. დროის მკაცრ არტახებში ვიყავით მოქცეული, ვინაიდან არც ვადის შეცვლა და არც გასტროლების თუნდაც ერთი დღით გადატანა თეატრს არ შეეძლო.

დღე და ღამეს ვასწორებდით და ყველაფერი დროზე მოესწრო.

მე მთავარ როლს ვთამაშობდი. ეს ანდარეზას როლი გახლდათ, ვაჟას „ბახტრიონში" რომ კვირია ჰქვია. ყველაფერი თავის რიგით და ძალზე მწყობრად მიმდინარეობდა, ერთი რამ რომ არ გადამღობებოდა წინ.

ბატონ არჩილ ჩიმაკაძეს უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული ქართველ მუსიკოსთა სამყაროში. მისი საოცრად ქართული და ახლებური მუსიკალური ესთეტიკით ნაკვები ნაწარმოებები სრული მოწონებით და საყოველთაო აღიარებით სარგებლობდნენ. ამიტომ დოდო ალექსიძის გადაწყვეტილებას ბატონ არჩილ ჩიმაკაძის მოწვევის შესახებ სპექტაკლის კომპოზიტორად ყველა სიხარულით შეხვდა. [illegible] რის, მეც. მაგრამ სულ მალე სიხარული დიდი მწუხარებით შემეცვალა. ერთ დღეს ბატონი არჩილი შემოვიდა რეპეტიციაზე, მიუჯდა როიალს და საოცრად ლამაზი, მელოდიური სიმღერა დაუკრა. თან ჩუმად თვითონ მღეროდა. ტექსტს ყველამ მოვკარით ყური, მითუმეტეს, რომ ცნობილი ხალხური ლექსი გახლდათ: — „შირაქის ველზე მივდივარ, უკან მომყვება ქარიო". მსახიობებმა ტაში შემოკრეს და ვიღაცამ იკითხა, ეს ვინ უნდა იმღეროსო. ეს ანდარეზას სიმღერაა და კოტე იმღერებსო. ყველა უცბად დადუმდა. მე, დოდო ალექსიძეს გავხედე დაბნეულმა და თვალებით ვეკითხებოდი: ნუთუ არ გითქვამთ, რომ მე სიმღერა არ შემიძლია-მეთქი.

— იმღერებს, იმღერებს, — ჩუმად, მაგრამ ლამის კატეგორიულად განაცხადა ბატონმა არჩილმა.

— ისე არაა ჩემი მტერიო, — ჩაილაპარაკა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ბადრი კობახიძემ.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში ჩავვარდებოდი. სპექტაკლს ძალიან კარგი პირი უჩანდა, ყველა მაჟორულ ტალღაზე იყო შეღერებული და უცებ...

ბატონმა არჩილმა განზე გამიხმო და მითხრა:

— როგორც მე ვიცი, შენ შესანიშნავი მეხსიერება გაქვს.

— ამბობენ — ჩუმად მივუგე.

— მერე? ამ მელოდიას ვერ ისწავლი?

— კი, მაგრამ, ამ ხრინწიან ხმას რა ვუყო?

— ჩემო კოტე, დავიწყოთ და ნახავ, როგორ იმღერებ.

თითქმის ყოველდღე, რეპეტიციის შემდეგ ვრჩებოდით და ბატონმა არჩილმა შეუძლებელი შეძლო. ფანდურით ხელში ჩემი ანდარეზა ლელას წინ ივჯდა და სიყვარულით ანთებული ხრინწიანი ხმით ღიღინებდა:

შირაქის ველზე მივდივარ
უკან მომყვება ქარიო,
წინ შემეყარა ჰეპელა
წითლად უელავს მხარიო.

... ხოლო, როცა პრემიერაზე სიმღერის შემდეგ დარბაზში ტაშის ხმა გაისმა, ბატონი არჩილი კულისებში იდგა ბედნიერი სახით და ღიმილით მუშტს მიღერებდა.

როცა მოსკოვიდან დავბრუნდით, ბატონმა არჩილმა მკითხა:

— იქ, კრემლის თეატრში თუ იყო ტაში?

— უფრო მეტი, ვიდრე აქ.

— აგაშენა ღმერთმა. აბა, ახლა რას იტყვი, ვინ გამოდგა მართალი?

— ვიცოდი, ბატონო არჩილ, თქვენი ნიჭიერების მადლი, მაგრამ მუნჯს თუ აამღერებდით, ამას ვერ წარმოვიდგენდი.

დიდხანს და ხშირად გაისმოდა ეს სიმღერა ესტრადაზე და რადიოში, ცხადია, კარგი მომღერლების შესრულებით, მანამდე, ვიდრე არჩილ ჩიმაკაძემ ფიროსმანის უბრწყინვალესი სიმღერა არ შექმნა და ის არ იქცა ქართველთა საყვარელ სიმღერად.

კოტე მახარაძე

გურამ ტყემალაძე



ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრის გამგე, ავტორია 100-მდე სამეცნიერო შრომისა და 3 სახელმძღვანელოსი. იგი სამენციერო თანამშრომლობას ეწეოდა უცხოეთის მრავალ ქვეყანაში: იუგოსლავიაში, ესპანეთში, ინგლისში, იტალიაში, აშშ-ში და სხვაგან, სადაც საავტორო სამეცნიერო მოხსენებებით გამოდიოდა უცხოელ კოლეგებთან.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი, სამი შვილიშვილი

ბატონი გურამის ნიჭიერებას კიდევ უფრო მრავალმხრივს ხდის მისი პოეტურობა. შექმნილი აქვს მრავალი ლექსი, რომლებზეც აყღერებულია პროფესიონალ კომპოზიტორთა სიმღერები. მათ შორის აღსანიშნავია ვაჟა აზარაშვილის, ნუნუ გაბუნიას, ბორია თბილელის, რუსუდან ჩხაიძის, ნუნუ დუღაშვილის, ნიკოლოზ გუდიაშვილის, ნუგზარ ედილაშვილისა და ზურაბ ჩინჩალაძის, რუსუდან სებისკვერაძის, კახა ცაბაძის, ნატო გელაშვილის, ვაჟა დურგლიშვილის, ლია ტატიშვილის და მაია მაჩაბლის ის სიმღერები, რომლებსაც დიდი სიამოვნებითა და წარმატებით ასრულებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები: ეთერ კაკულია, თენგიზ ზაალიშვილი, ნიკა დოლენჯაშვილი, ჯანო ბაგრატიონი, გენო ნადირაშვილი, მერაბ სეფაშვილი, თამარ გვერწითელი, თამარ ჭოხონელიძე, ნუგზარ კვაშალი, ოთხი გია, მანანა ებრალიძე, მამუკა ონაშვილი, ანრი ჯოხაძე, ეკა კვალიაშვილი, ირინე ირემაშვილი, ნუკრი კაპანაძე, ზურაბ კობეშავიძე და სხვა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სიმღერები: „მიყვარხარ შენ", „განა რას გთხოვდი", „დამიბრუნდი", „ჩემო თბილისო", „სატრფიალო", „ამამღერე", „ნატო", „მოქეიფე კაცი მიცოცხლე", „გიორგობისთვე", „ჩემო საქართველო", „სიყვარული სიცოცხლეა", „გახსენება", „მონატრება", „ჯადოსნური დარბაზი" და სხვა.

გთავაზობთ გურამ ტყემალაძის რამდენიმე ახალ ლექსს.

* * *

ვგრძნობ, თვალებში ისეთი
სევდა ჩაგბუდებია,
თითქოს ფერგამოცლილი
შავი ალუბლებია.

ობლად ამოხეთქილი
კლდეში ლერწმის ღეროა.
ღერო, რომლის ყლორტები
სევდის სასიმღეროა.

თითქოს მესაფლავეა
საოცნებო განცდების,
ფიქრსაც რომ ასამარებს,
ფიქრით ცას რომ ასწვდები.

მაინც მაგ შენს თვალებში
უფრო დასანანია, —
სანთელივით რომ იწვის,
მაგრამ აღარ ანთია...

ასე იყო მაშინაც

არაფერი არ მინდა, რა ვქნა, გული გაცივდა,
ტყეს ფოთლები გაცვივდა, ყველაფერი გაშიშვლდა,
ასე იყო მაშინაც, დილა იქცა დაისად,
განშორება დაიწყო გასაოცრად საშინლად.

ყველაფერი გასხვისდა, გაუცხოვდა, გაფრინდა,
როცა გრძნობა აზვირთდა, სულში რაღაც დამცირდა,
ასე იყო მაშინაც, სიო იქცა ქარიშხლად,
თითქოს სულში ეშმაკი, ჩემს ფიქრებთან დაწყვილდა.

გაქრა, თითქოს არც იყო, რამაც გული გამითბო,
მერე ორად გამიპო, სიცოცხლის გზაც გამიყო.
ასე იყო მაშინაც, ბუნებითაც დარდიანს, —
სულ მეგონა ვერასდროს ვერ ვნახავდი განთიადს.

არაფერი არ მინდა, რა ვქნა, გული გაცივდა,
ვინც მიმაჩნდა საფიცრად, მგლეჯდა ნაწილ-ნაწილად,
ასე იყო მაშინაც, ისევ ბედის დაცინვა,
ფრთამოტეხილს არავინ არ იწამებს არწივად.

ყველაფერი თავდება, ო, რა სწრაფად ღამდება,
ცივ გულს ვეღარაფერი აენთება სანთლებად,
ასე იყო მაშინაც, ახლაც ასე არის და,
მეც, რაღა ვქნა, გული თუ მეორეჯერ გაცივდა.

გულმა თუკი იცოცხლა, მოგონებამ აცოცხლა,
ისე მშვიდად, რატომღაც თვითონაც კი გაოცდა,
ასე იყო მაშინაც, სიზმარშიც და ცხადშიაც,
გულს არ შემოხვევია დავიწყების არშია.

აღარ გელოდები

აღარ მენატრები, აღარც მესიზმრები,
მგონი დამავიწყდა შენი კანის ფერი,
გაქრა სიხარული თოვლის ფანტელივით,
სევდა მომაყარა ქარმა ნამქერივით.

გაქრა ყველაფერი, რასაც ვაღმერთებდი,
გაქრა სიყვარული ღმერთს რომ ვაყედრებდი.

აღარ მაგონდები, აღარც გელოდები,
რა ვქნა, ვერ მშველიან ვეღარც მეგობრები,
სიტყვაც აღარ დამრჩა გულში საალერსო,
აღარც გული დამრჩა სხვამ რომ აამღეროს.

და რაც დღემ ვერ შესძლო, იქნებ ღამემ შეძლოს.
მაგრამ ვეღარ შევსვამ მე შენს სადღეგრძელოს.

დავრჩი მარტოდმარტო ფიქრის ანაბარა,
ვიცი, სიყვარულმა არც შენ გაგახარა,
თუკი გალაქტიონს ერგო ბედი ლირის
ჩემთვის რაღა არის ნეტავ გასაკვირი.

ისევ აშრიალებს ქარი ვერხვის ტოტებს,
ქარი, ისევ ქარი, — მე თუ შემიცოდებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვეწილი გემოვნების არსი ანუ ცოტა რამ ელეგანტურობის შესახებ

ლამაზად ჩაცმის ხელოვნება ისეთივე ტალანტია, როგორიცაა: მუსიკალობა, ლექსის შექმნის უნარი, ხატვა...

არიან ბედნიერი ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ჰარმონიის, ხაზის, ფერის, ფორმის, სტილის, ქსოვილის – თანდაყოლილი შეგრძნება...

ისინი შეიგრძნობენ ტანსაცმელს, ისევე, როგორც საკუთარ კანს, საკუთარი კანივით აუცილებელ საფარველს სხეულისას და ზუსტად განსაზღვრავენ მას თითოეული დეტალის მიხედვით. მათ ძალუძთ განსაკუთრებულად გამოსკვნან ყელსახვევი, თავისებურად მიიბნიონ გულსაბნევი, მოულოდნელად, ეფექტურად და ამავე დროს, ლოგიკურად ახდენენ შერწყმას ყველაზე უბრალო, ჩვეულებრივი ტანსაცმლისას, რომლებსაც სხვები არ აქცევენ ყურადღებას. ისინი უშეცდომოდ ირჩევენ მოდელს, თავიანთ პლასტიკურობასთან, სიარულის მანერასთან, ინტუიციურ გრძნობებთან, აღნაგობასთან შესაბამისობაში, – ყოველივე ეს ანიჭებთ მათ თავისუფლების შეგრძნებას ამა თუ

ტანი არიან, ვიდრე უნდა იყვნენ. ყველა ვერ გამოირჩევა ესთეტიურობით, მაგრამ აქ არაფერია საგანგაშო. ესთეტიურობა შეიძლება გავაღვიძოთ და განვავითაროთ სურვილის შედეგად. –მთავარია, როგორ აღიქვამთ მოდას.

ერთნი ზუსტად შეიგრძნობენ მოდას, რომლის გათვალისწინებითაც თავისთავადობას მატებენ მას.

მეორენი, შენიშნავენ თუ არა მოდაში რაიმე ახალს, ან საინტერესოს, უმალ შეეცდებიან შეიძინონ ან შეიკერონ ადეკვატური მოდელი, კომპლექციის, ასაკისა და სხვადასხვა ინდივიდუალური თვისებების გაუთვალისწინებლად.

მესამენი, უფროსი თაობისანი, როგორც წესი, იწყებენ აღშფოთებას და აუცილებლად პოულობენ ნებისმიერ ახალ სტილში რამეს მიუღებელს. შეუპოვრად ეწინააღმდეგებიან მოდის სიახლეს, შემდგომ კი შეუმჩნევლად, ნებით თუ უნებლიედ, მაინც მიყვებიან მას, მაგრამ ძალიან დიდი დაგვიანებით.

მაინც, რა არის მიზეზი ზოგიერთი ადამიანის მხრიდან მოდის მიმართ არასასიამოვნო დამოკიდებულებისა? მიზეზი ბევრია: ეს არის გაუცნობიერებელი შური, ფართო თვალთახედვის უქონლობა, სიახლის მიმართ შიში, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც უკულტურობაში და ესთეტიური გრძნობის განუვითარებლობაშია.

მოდასთან მიმართებაში ერთადერთი გამოსავალია სწორი თვალთახედვა, რომელიც ანიჭებს უნარს ადამიანს, შენიშნოს ფერთა ტონებში უმნიშვნელო განსხვავება.

ფერთა შეხამების დროს, ჰარმონიას ან დისჰარმონიას ყველა როდი ამჩნევს. ზოგიერთი ცდილობს დაეუფლოს ელეგანტურობის მეცნიერებას შემდეგი გზებით: შეისწავლოს მოდების ჟურნალები და არ გამოტოვოს მოდების არც ერთი ჩვენება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა, დახვეწილი გემოვნებისა და მოდების შესახებ ბევრის წაკითხვა, სამხატვრო გამოფენებზე სიარული, დაკვირვება-შედარებები, ამ შემთხვევაში ადვილია მოიმ სამოსელში და მატებთ მიმზიდველობას.

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ადამიანები, რომლებიც ელეგანტურობის საიდუმლოებებს ფლობენ, დიდად არ გამოირჩევიან სილამაზით ან აღნაგობით. მათი გარეგნობა შესაძლებელია აბსოლუტურად ორდინალური იყოს. თქვენ მათ უბრალოდ ვერც კი შეამჩნევთ, თუ მათი ჩაცმულობა ემსგავსება სხვა დანარჩენებისას, მაგრამ სწორედ მათი ჩაცმის უნარი აყენებთ მათ მომგებიან მდგომარეობაში იმ ლამაზმანებთან შედარებით, რომელნიც ულაზათოდ ჩაცმულები არიან.

ელეგანტურობის ტალანტით დაჯილდოებული ადამიანები გაცილებით ცოდის მორიგი ცვლილებების არსში წვდომა, ასევე შესაძლებელია გარკვევა იმაში, თუ რას მოუტანს ახალი მოდა თითოეულ ადამიანს.

ახლა კი რამდენიმე ზოგადი რჩევის შესახებ: უმთავრესად, საჭიროა ყურადღებით და მიუკერძოებლად შესწავლა საკუთარი თავისა. უნდა მოვისინჯოთ სხვადასხვა ფასონის, ფერის, ფორმისა და სიგრძის ტანსაცმელი და არა მხოლოდ ის, რომელსაც თქვენ მიეჩვიეთ, მხოლოდ ამ გზით, ცდების და ხანაც შეცდომების გზით, იპოვით საკუთარ სტილს, საკუთარ ინდივიდუალობას.

რა არის ინდივიდუალობა და როგორ გავიგოთ როგორია იგი? – ჩვენი ინდივიდუალობა არის ის, თუ როგორ გვინდა გამოვიყურებოდეთ გარეშეთა თვალით. მაგალითად, არიან ქალები, რომელთაც უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა. თუ მათ ყურადღებას არავინ მიაქცევთ, ეს მათთვის ტრაგედიაა. მას რაც არ უნდა უმტკიცოთ, რომ მისთვის საჭიროა უბრალო, ბუნებრივი ტანსაცმელი, სადა ფორმისა და მშვიდი ტონების, ის თქვენ არავითარ შემთხვევაში არ დაგეთანხმებათ, მაშინაც კი, თუ თქვენი შეთავაზებული მოდელი მოერგება ფორმითაც და ფერითაც. თუ თქვენ გგონიათ, რომ თქვენს მეგობარს უფრო თამამად უნდა ეცვას, ამისათვის საჭიროა სრულიად განსხვავებული ხასიათის, მკვეთრი ფერების, თვალშისაცემი ტანსაცმელი და თქვენი მეგობარი, რომელსაც არც ბრწყინვალე ფიგურა აქვს და არც სახის დახვეწილი ნაკვთები, უმნიშვნელო დეკორატიული კოსმეტიკის დახმარებით ნამდვილი მზეთუნახავი გახდება. ყოველი ქალი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, სრულყოფილი გახადოს თავისი გარეგნობა და რაც შეიძლება მეტად დაიყვანოს იგი მიმზიდველობამდე. არიან ქალები, რომელთაც სილამაზეზე მეტად, მიმზიდველობა ახასიათებთ. მათში ის ბუნებრივი ხიბლია, რომელიც ყოველთვის მაღლა დგას სილამაზეზე. ეს ხიბლი კი ყველას არა აქვს ბოძებული, ამიტომ, საჭიროა ცოდნა ყველა ღირსებისა და ნაკლოვანებისა საკუთარ გარეგნობაში, ხოლო ყოველივე ამასთან

შესაბამისობაში უნდა შევირჩიოთ ტანსაცმელი და მანერები. საჭიროა სხვა რამეც: საკუთარი თავის შესწავლა მუდმივად, დროდადრო მოსინჯვა სხვადასხვა ფერის პომადების, ჩრდილების, ფრჩხილების ლაქის და სხვა – რატომ?

ჩვენ ხომ უკვე ამოვირჩიეთ, ვიპოვეთ ჩვენი სტილი, ტანსაცმელი, – ჩვენი კომპლექციის შესაფერისი ფერი, რომელიც ჩვენ ყველაზე მეტად გვიხდება და უკვე იმდენჯერ მოვისინჯეთ, რომ არ შეიძლება ჩვენი სტილის შეცვლა მოდების მიუხედავად, მაგრამ მოდა იცვლება, მოდის ცვალებადობასთან ერთად იცვლება ჩვენი დამოკიდებულება ტანსაცმელთან და საკუთარ თავთან. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ თვითონ ვიცვლებით, ასაკის მიხედვით, სიმსუქნით ან სიგამხდრით, საბოლოოდ ვართ სხვადასხვაგვარ მდგომარეობაში, – გვიხარია, ვწუხვართ, მოწყენილობა გვეუფლება, ვიცინით. იცვლება ჩვენი ცხოვრება და ამ ყველაფერთან შესაბამისობაში, ჩვენს გარეგნობაში ვამჟღავნებთ რაღაც ახალ თვისებებს, როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს. ამ

დროს მოდასა და საკუთარ სტილს შორის მუდმივად იჩენს თავს რაღაც ახალი აზრი, რომელიც, ჩვენეულად დროულად უნდა გამოვხატოთ.

მანამდე, სანამ ჩაცმულობის სტილს შევიცვლიდეთ, აუცილებელია წინასწარ გავითვალისწინოთ ის გარემოება, გვიხდება თუ არა ახლად შერჩეული ტანსაცმელი.

მოდა უჩვეულოდ მხიარული და საინტერესოა ნებისმიერი დახვეწილი გემოვნებისა და ელეგანტური ადამიანისათვის. იგი ხომ იმიტომ არსებობს, რათა მეტი სინათლე, მრავალფეროვნება და ემოციურობა შემატოს ადამიანებს.

ვეცადოთ ავყვეთ მოდას და ვიქონიოთ მასთან ურთიერთობა – ჩვენი ცხოვრების გასალამაზებლად.

ღვაწლმოსილი ხუროთმოძღვარი

ალექსი მიმინოშვილი





საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხუროთმოძღვარი ალექსი მიმინოშვილი სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის კეთილშობილურ საქმეს და თავის შესამჩნევი კვალიც დატოვა.

გადავავლოთ თვალი, აღვადგინოთ მეხსიერებაში მისი ცხოვრების და მოღვაწეობის გზა.

ალექსი იაკობის ძე მიმინოშვილი დაიბადა 1911 წელს სოხუმში. ამ ქალაქთან არის დაკავშირებული არა მარტო მისი ბავშვობის წლები — სწავლა, საშუალო სკოლის შვიდი კლასის დამთავრება, არამედ თავის მომავალ პროფესიაზე ფიქრი და ოცნებაც: გადაწყვიტა არქიტექტორი გამხდარიყო და სწავლა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სამშენებლო ფაკულტეტზე განაგრძო. არჩევანში მამის პროფესიისადმი ინტერესიც გამოიხატა, — იაკობ მიმინოშვილი, სოხუმში და აფხაზეთში ცნობილი მოღვაწე, ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, ინჟინერი გახლდათ.

შემდეგ ალექსი თბილისში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ეუფლება არქიტექტურულ სპეციალობას.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1933 წელს, იგი უბრუნდება სოხუმს და ორი წლის მანძილზე აფხაზეთში ეწევა საპროექტო მუშაობას — აშენებს საცხოვრებელ სახლებს, კინოთეატრებსა და სხვა ობიექტებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ალექსი მიმინოშვილის მუდამ გულისხმიერი დამოკიდებულება მშობლიური ქალაქისადმი. ეს იგრძნობოდა მასთან პირად საუბარში თუ საქმეში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვლავ ამ ლამაზ ქალაქში მოხვდებოდა: მამისეულ სახლში, თავისი ახლობლების წრეში თუ ბავშვობის მეგობრებთან.

ნიშანდობლივია, რომ მისი ერთ–ერთი პირველი ნაგებობა, რომელმაც გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული არქიტექტურის განვითარების ისტორიაში, სოხუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე 1937 წელს აშენებული საცხოვრებელი სახლია (სამწუხაროდ, სოხუმის ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, რედაქციას არ ძალუძს, დაბეჯითებით დარწმუნდეს ან დაარწმუნოს მკითხველი აღნიშნული სახლის ყოფნა–არყოფნით სადღეისოდ). ეს ორსექციანი, სამსართულიანი შენობა ყურადღებას იპყრობს გეგმის კომპაქტურობით, ფასადების კომპოზიციური დასრულებით, სამხრეთული, ინტიმური იერით, კლასიკური პროფილების, დეტალების ზომიერი, გონივრული მომარჯვებით. ბევრი რამ ამ მცირე მასშტაბში ჩასახული და გამომჟღავნებული, დამახასიათებელი გახდა ხუროთმოძღვრის შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ალექსი მიმინოშვილის პროექტებით განაშენიანდა აფხაზეთის ტერიტორიაზე სოფლის რამდენიმე დასახლება.

კიდევ რამდენიმე შტრიხი: იგი არავის უთმობდა ექსპერტიზს იმ პროექტებისა, თუ საკონკურსო მასალებისა, რომლებიც აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმში უნდა აშენებულიყო...

ა. მიმინოშვილი ყოველთვის ხალისით მონაწილეობდა არქიტექტორული და სამშენებლო ხასიათის ყველა ღონისძიებაში, რომლებიც სოხუმში ტარდებოდა. მისი გამოსვლები, წინადადებები მუდამ გრუნვით გამსჭვალული და პრაქტიკული იყო. მთელი სიცოცხლის მანძილზე ახასიათებდა ეს სიყვარული და გრუნვა მშობლიური მხარისადმი და ამით მომავალი თაობის მეხსიერებაშიც მისაბაძ მაგალითად დარჩება.

1935 წელს ალექსი მიმინოშვილი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და სამუშაოდ.

ა. მიმინოშვილისთვის შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი დაემთხვა არქიტექტურაში თვისობრივი ძვრების პერიოდს, — 30–იანი წლების შუა ხანას. შემოქმედებით მიმართულებაში განმსაზღვრელი გახდა კლასიკური ძღვრული ნაწარმოებები, რომლებიც მიუხედავად დროის, კონიუნქტურის დაღისა, მხატვრულად გამართულნი არიან. ასეთ ოსტატთა რიცხვს ეკუთვნოდა ალექსი მიმინოშვილი. მის ნაწარმოებებში ვერ იხილავდით იმ თავშეუკავებელ ზედმეტობას, დემოკრატიულობას, რაც ხშირად დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის ნაგებობებისათვის.

30–იან წლებში ჩამოყალიბდა საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. ალექსი მიმინოშვილი ახლის შექმნის სათავეებთან იყო და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დარჩა ქართული არქიტექტურული საზოგადოების წევრად. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ იგი თითქმის უცვლელად იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის, მისი პრეზიდიუმის წევრი, სხვადასხვა კომისიების ხელმძღვანელი, კონკურსების ჟიურის წევრი ან თავმჯდომარე, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო თავშესაყართა მონაწილე, მთავარია, თუ როგორ მონაწილეობდა იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ალექსი მიმინოშვილი წამყვან არქიტექტორად მუშაობდა რესპუბლიკის სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კი — „საქკვებმრეწვსახპროექტის“ მთავარ არქიტექტორად. მისი პროექტებით აგებულია კვების მრეწველობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი: თბილისის კონიაკის ქარხნის მთავარი კორპუსი, სადეგუსტაციო დარბაზი და მარანი დიღომში, ღვინის ქარხნები და სხვა. უნდა ითქვას, რომ ა. მიმინოშვილი, ყველა ამ სამრეწველო ხასიათის ნაგებობების გეგმისა თუ ფასადების გადაწყვეტისას, ტექნოლოგიური მხარის ზედმიწევნით გათვალისწინებასთან ერთად, ყოველთვის ცდილობდა მათთვის ინდივიდუალური მხატვრული სახე მიენიჭებინა.

ა. მიმინოშვილის პროექტებით აგებულია აგრეთვე: საცხოვრებელი სახლები ფალიაშვილისა და რიგის ქუჩების კუთხეში, ფიქრის გორაზე, სასტუმრო „წინანდალში“, „თბილისში“, ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე და სხვა. თუმცა, განუხორციელებელი დარჩა ბევრი პროექტი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე არქიტექტორ–პროექტანტისა, რაც ა. მიმინოშვილს ახასიათებდა, ეს იყო მისი მოთხოვნა სამშენებლო–მოსაპირკეთებელი სამუშაოების მაღალი ხარისხისა. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებენ მის მიერ აგებული სახლები.

1950 წელს ალექსი მიმინოშვილს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა — თბილისში, ვერისუბანში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე აგებული საცხოვრებელი სახლის არქიტექტურისათვის. მაშინ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი იყო.

ალექსი მიმინოშვილი 1967 წელს გარდაიცვალა. მისი სახელი, მისი ნამოღვაწარი მუდამ დარჩება ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც შემოქმედისა, რომელმაც დატოვა კვალი, ხსოვნა და საქმე.

ნ. ნადირაძე



მინი-მარკეტი „ორქიდეა“ იწვევს ერთგულ მომხმარებელს!
ზედმიწევნით ხელმისაწვდომი ფასებით და საუკეთესო ხარისხის ნაირგვარი ასორტიმენტის კვების პროდუქტებით. მინი-მარკეტი კმაყოფილს დატოვებს ვერისუბნელებს და არა მარტო მათ.
მობრძანდით, დაზოგეთ თქვენი ოჯახის ბიუჯეტი, დატკბით უჩვეულოდ დაბალი ფასებითა და საუკეთესო მომსახურებით.
„ორქიდეა“ მოგემსახურებათ ყოველდღე, დილის 9 საათიდან ღამის 2 საათამდე.
მის: *გ. ახვლედიანის ქ. №10 (ყოფ. პეროვსკაია).*

რესტორანი **„დუენდე“** გეპატიჟებათ და გთავაზობთ ქართულ-ევროპულ ბლუდებსა და მრავალფეროვანი ასორტიმენტის სასმელებს.
მობრძანდით, გელით მშვიდი გარემო, ცოცხალი მუსიკითა და ბუხრის სითბოთი.
რესტორანი მოგემსახურებათ ყოველდღე, დილის 9 საათიდან გვიან ღამემდე.
მის.: *ილია ჭავჭავაძის გამზირი, №2 („ჩაის სახლის“ შენობაში, პირველ სართულზე).*

ბილიარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!



1999 წლის 15 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით მთაწმინდის რაიონის გამგეობის ინიციატივით გაიმართება თბილისის სარაიონო ჩემპიონატი ბილიარდში, რომელიც შედგება ბილიარდის კლუბში მისამართზე: ნიკო ნიკოლაძის ქ. №7.
ბილიარდის ჩემპიონატში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით.
ყველას, ვისაც სურს აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობა, ვაცნობებთ, რომ მათთვის რეგისტრაცია წარმოებს ბილიარდის კლუბში ყოველდღე, 14 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: **ნ. ნიკოლაძის ქ. №7. ბილიარდის კლუბი.**

მაკა დარჩიას და გიორგი ჩიკვაიძეს!
გილოცავთ პირველი შვილის – ლუკას დაბადებას. ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ თქვენს ოჯახს – *ჩვენი ეზო.*
ვალის ქ. № 15-დან

ნანა ყიფშიანს და ირაკლი მაჭავარიანს
ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ბედნიერებას.
გიმო და ნარგიზ მაჭავარიანები



ყურადღება! წარმოუდგენლად დაბალი ფასებითა და უმაღლესი ხარისხით მინი-მარკეტი „ვერე“

გთავაზობთ სხვადასხვა ასორტიმენტის კვების პროდუქტებს, ალკოჰოლურ და გამაგრილებელ მინერალურ სასმელებს, ხილ-ბოსტნეულსა და აგრეთვე, პარფიუმერიას და ნაირგვარ საოჯახო და საკანცელარიო საქონელს, ჩვილ ბავშვთა პირველადი მოხმარების ნივთებსა და კვების პროდუქტებს.

მინი-მარკეტი **„ვერე“** მოგემსახურებათ დღე-ღამის განმავლობაში (24 საათით).
მის.: *მელიქიშვილის ქ. №9.*



შ.პ.ს. **„ჩაის სახლი“** - სავაჭრო ცენტრი – **„ბუმი-2“** გთავაზობთ უცხოური წარმოების საუკეთესო ხარისხისა და ორიგინალური დიზაინის სამრეწველო საქონელს — ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, პარფიუმერიას, ოპტიკურ ნაწარმს, საიუვილერო ნაკეთობებს. მომსახურეობა მაღალ დონეზეა.
მობრძანდით, გელით ყოველდღე, დღის 11 საათიდან 19 საათამდე შესვენების გარეშე.
მის.: *ილია ჭავჭავაძის გამზირი, №2.*

ადგილი, სადაც დასავლეთი ხვდება აღმოსავლეთს

*გემრიელი სადილები ხელმისაწვდომ ფასებში*ქართული, დასავლური და აღმოსავლური სამზარეულოს რჩეული კერძები*ბიზნეს სადილი*ნიუ-იორკული პიცა*ჯაზის და კლასიკური მუსიკის საღამოები, სახელგანთქმული მუსიკოსების ცოცხალი შესრულებით*ფასდაკლება დღეობების და წვეულებების მოწყობის შემთხვევაში*ამერიკელი მენეჯერი უზრუნველყოფს უმაღლესი დონის მომსახურებას
მობრძანდით ვენა საარში.
მიირთვით შესანიშნავი ვახშამი და ისიამოვნეთ
გ. ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. 14.
ტელ: 90-82-40.

რესტორანი „მატრიოშკა“

გეპატიჟებათ საუკეთესო დიზაინის დარბაზებში რუსული ტრადიციული სამზარეულოთი და მრავალფეროვანი ასორტიმენტის ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელებით. რესტორანი მოგემსახურებათ ყოველდღე, დილის 9 საათიდან გვიან ღამემდე.
მის.: *მაყაშვილის ქ. №5.*

„ადმირალი ბენბოუ“ გეპატიჟებათ და გთავაზობთ საუკეთესო დიზაინის ინტიმურ დარბაზში ქართულ-ევროპულ სამზარეულოსა და მრავალფეროვან სასმელებს.
მობრძანდით, გელით ყოველდღე, დღის 3 საათიდან გვიან ღამემდე და თქვენი აქ გატარებული საღამო — გაუღენთილი თბილი შუქითა და რბილი მუსიკით დიდხანს გემახსოვრებათ.

მის.: *გ. ახვლედიანის — ეკალაძის ქ. №5 (ყოფ. პეროვსკაია).*

ბილიარდის კლუბი

გიწვევთ თანამედროვე დიზაინის მყუდრო დარბაზებში, სადაც დროის ხალისიანი გატარების მიზნით მოგემსახურებათ მინი-ბარი. საუკეთესო ასორტიმენტის ქართულ-ევროპული სასმელებით, ყავითა და მუსიკით.
მობრძანდით, გელით ყოველდღე. დღის 3 საათიდან გვიან ღამემდე. თქვენ აუცილებლად კმაყოფილი დარჩებით კლუბის გარემოცვით და ახალ-ახალი მეგობრებით.
მის: *ნიკო ნიკოლაძის ქ. №7.*

ეგზოტიკური და ადგილობრივი ყვავილების მოყვარულებს გიწვევთ ორიგინალური დიზაინის (დიზაინერი–მხატვარი მარიკა დანელია) ყვავილების სალონში ყოველდღე დილიდან საღამომდე.



მისამართი:
მელიქიშვილის ქ. №15.

საოქრომჭედლო სალონში „ზურმუხტი“



მოგემსახურებიან მაღალი კვალიფიკაციის ოქრომჭედლები. შეღავათიან ფასებში. ყოველდღე, კვირის გარდა. დილის 9 საათიდან საღამოს 19 საათამდე.
მის: *ნიკო ნიკოლაძის ქ. №10.*

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
მაია ჯუსიანი-მაჩაბელი
პასუხისმგებელი მდივანი:
ნარგიზ ნადირაძე
სარედაქციო კოლეგია
მისამართი: თბილისი, გალის ქ. №15. ტელ.: 29-43-87